

# ხობის მოამბე

№9 (7045) 16 მაისი,
შაბათი, 2015 წელი.
ფასი 70 თეთრი.

ხობის მუნიციპალიტეტის გაზეთი

# 9 მაისი — ფაშიზმზე გამარჯვების დღე



„უწინარეს ყოვლისა, თავს ვხრი ჩვენი ვეტერანების წინაშე და ვულოცავ მათ ამ დღეს. ეს ხალხი იბრძოდა თავისი სამშობლოსთვის და მთელი კაცობრიობის გადარჩენისთვის. დღეს ჩვენ მადლობას ვუხდით ყოველ ადამიანს, ვინც მოგვცა შესაძლებლობა ვიარსებოთ არა მხოლოდ საქართველოში, არამედ მთელ მსოფლიოში“.

*გიორგი მარგველაშვილი,*
*საქართველოს პრეზიდენტი.*

„ეს დიდი დღეა, და განსაკუთრებული გულისხმიერებით მინდა მივულოცო ყველა ვეტერანს, ვინაიდან მათი ძალისხმევის წყალობით, ბუნებრივია, სხვა ხალხებთან ერთად, გახდა შესაძლებელი ასეთი დიდი გამარჯვების მიღწევა, ყველაზე მთავარია ის, რომ ომი მოიგო ქართველმა, ამიტომ ეს განსაკუთრებული გამარჯვებაა“.

ირაკლი ღარიბაშვილი,
საქართველოს პრემიერ-მინისტრი.

**9 მაისს** საბჭოთა არმიამ დაამარცხა ფაშისტთა ბოროტების სავანე. ქართველთა წარმოდგენაში ეს დღე ასოცირდება გამარჯვებასთან, თავისუფლებასთან და სიმშვიდის დასადგურებასთან.

სამამულო ომის ყველა ვეტერანს ვულოცავ ამ დღეს. უდიდეს პატივს ვცემ თითოეულის ვაჟკაცობას და თავდადებას. ომის ქარცეცხლგამოვლილებიდან ბევრი დააკლდა ჩვენს მუნიციპალიტეტს. მათი სახელები თაობებს გადაეცემა უკვდავსაყოფად. თქვენ კი, ვინც დაგვრჩით, გეფერებით, გიფრთხილდებით, გეალერსებით და შეძლებისდაგვარად თქვენს გვერდით ვდგავართ. იხარეთ და იდღეგრძელეთ ჩვენო საამაყო მამულიშვილებო.

**გოდერძი ბუკია,**
*საქართველოს პარლამენტის მაჟორიტარი დეპუტატი.*

**9 მაისი** ფაშიზმზე გამარჯვების დღეა. დღევანდელ დღეს ზეიმობს სრულიად მსოფლიო. ამ ბრძოლებში გამარჯვებისთვის მნიშვნელოვანი წვლილი შეიტანა საქართველომ და მისმა მოსახლეობამ, მათ შორის ხობის რაიონიდან წასულმა ვაჟკაცებმა.

ჩვენო ძვირფასო ვეტერანებო! ვამაყობთ თქვენით, ვამაყობთ თქვენს თანამებრძოლთა დიდი და დაუმარცხებელი არმიით, რომლებიც არნახული სიძნელეების მიუხედავად, თამამად მიდიოდნენ ბრძოლაში. მხოლოდ ასეთი გმირობით შეიძლებოდა ჭკვიანი, ძლიერი, კარგად შეიარაღებული და ვერაგი მტრის დამარცხება. იმ მტრის, რომელმაც მუხლებზე დააჩოქა თითქმის მთელი ევროპა!

ჩვენ ძალისხმევას არ დავიშურებთ იმისათვის, რომ ჩვენი სახელოვანი ვეტერანები იყვნენ სათანადოდ დაფასებულნი და მათი ცხოვრების პირობები იყოს ღირსეული.

განსაკუთრებული მოწიწებით გილოცავთ გამარჯვების დღეს, ძვირფასო ვეტერანებო! მარადიული ხსოვნა 300 ათას დაღუპულ ქართველ მეომარს და დიდხანს სიცოცხლე, ჯანმრთელობა და კეთილდღეობა თქვენ!

**გოჩა ქაჯაია,**
*ხობის მუნიციპალიტეტის გამგებელი.*

**ძვირფასო ვეტერანებო!**

ხობის მუნიციპალიტეტისა და სრულიად საქართველოს საამაყო და სახელოვანო მკვიდრნო, გილოცავთ ფაშიზმზე დიადი გამარჯვების 70-ე წლისთავს!

თითოეული თქვენგანის უკვდავი გმირობა, რომლებმაც სასტიკ, სისხლისმღვრელ ომში დაიცავით მშვიდობა და მომავალი თაობებისთვის–გმირული, ურყევი ფურცელია საქართველოს საერთო ისტორიაში.

ასევე მსურს, დიდი კრძალვითა და მოწიწებით გავიხსენო ბრძოლის ველზე გმირულად დაღუპული, ფაშიზმის წინააღმდეგ მებრძოლი ის საამაყო მამულიშვილები, რომელთაც თქვენთან ერთად ლომის წვლილი მიუძღვით იმ ტოტალიტარული რეჟიმის დამარცხებაში, მე ქედს ვიხრი მათი ხსოვნისა და უკვდავი სახელების წინაშე.

თქვენთვის კი, ომგამოვლილი ადამიანებისათვის, ხომ ყოველი დღე დღესასწაულია, დაე, უფალმა მოგმადლოთ ლამაზ, საზეიმო დღეთა სიუხვე. გისურვებთ ჯანის სიმრთელესა და ბედნიერ წელთა სიმრავლეს.

უფალი გფარავდეთ!

**ელიშერ ჯობავა,**
*ხობის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარე.*







## „დიდება გმირებს, რომლებმაც თავი შესწირეს ჩვენი ხალხის თავისუფლებასა და ბედნიერებას“

*მუნიციპალიტეტის სამომავლოდ*

## პრემიერ-მინისტრმა გოდერძი ბუკიას ინიციატივას მხარი დაუჭირა

7 მაისს საქართველოს პრემიერ მინისტრი ირაკლი ღარიბაშვილი საპარლამენტო უმრავლესობას შეხვდა. ხობის მაჟორიტარმა დეპუტატმა გოდერძი ბუკიამ ხობის მუნიციპალიტეტში განსახორციელებელ პროექტებზე ისაუბრა. ბატონი გოდერძი ბუკიას მიერ ინიცირებული საკითხები პრემიერმა მოიწონა და მხარი დაუჭირა.

„შარშან ჩვენი დიდი მონდომებით და მთავრობის დახმარებით ხობი-




ჩხოროწყუს 9 კილომეტრიანი გზა გაკეთდა, რომელმაც ორი რაიონი დააკავშირა ერთმანეთს. ჩვენ დავსვით საკითხი, რომ ამ გზას მიუერთდეს ახალი გზა–ახალი ხიბულა-ზუგდიდის მიმართულებით.

გთხოვთ გაითვალისწინოთ ეს საკითხი და მხარი დაგვიჭიროთ მის განხორციელებაში. ამას დიდი პრაქტიკული მნიშვნელობა აქვს მოსახლეობისთვის,“–განმარტა გოდერძი ბუკიამ.

„ზუგდიდი ხობის გზა წელს დაიწყება. ეს პროექტი ჩაშვებულია და მზად ვარ პირადად ჩავერთო მის განხორციელებაში“–აღნიშნა ირაკლი ღარიბაშვილმა

საპარლამენტო უმრავლესობის ხდომაზე გოდერძი ბუკიამ ასევე, დასვა მეორე საკითხი, რომელიც ხობში 2 ახალი ქარხნის მშენებლობას და მეწარმეთათვის სიმინდის მოსავლის დროებით სუბსიდირებას ეხებოდა:

„ხობში შენდება 2 ახალი ქარხანა, რომლის მსგავსი საქართველოში არ არის. იგეგმება 20 ათასი ტონა სიმინდის გადამუშავება. 3-4 წელიწადში დაახლოებით 7 დასახელების პროდუქტი უნდა გამოუშვას ამ ქარხანამ. მოგმართავთ თხოვნით, პირველ პერიოდში მაინც მოხდეს სიმინდის მოსავლის სუბსიდირება მეწარმეების მიმართ. ეს ძალიან კარგი საქმე იქნება ბიზნესის განვითარებისთვის. რადგან, მოგეხსენებათ, ეს კეთდება სახელმწიფო პროგრამით, „აწარმოე საქართველოში“ ფარგლებში და კერძო ინვესტიციით.“

ორივე წინადადება ქვეყნის პრემიერმა მოიწონა და მის განხორციელებაში გოდერძი ბუკიას მხარდაჭერას დაჰპირდა.

**ნინო ლიპარტია**

# ჩვენს მუნიციპალიტეტში

## მუნიციპალიტეტის საკრებულოს სხდომა

2015 წლის 30 აპრილს, ხობის მუნიციპალიტეტის საკრებულოს სხდომათა დარბაზში, გაიმართა საკრებულოს მორიგი სხდომა, რომელსაც უძღვებოდა საკრებულოს თავმჯდომარე ედიშერ ჯობავა.

სხდომას ესწრებოდნენ საკრებულოსა და გამგეობის ხელმძღვანელი პირები. სხდომაზე განხილულიქნა დღის წესრიგით გათვალისწინებული სხვადასხვა საკითხები: მათ შორის: დადგენილების პროექტი „საკრებულოსა და გამგეობის თანამდებობის პირთა და საკრებულოს აპარატის და გამგეობის მოსამსახურეთა თანამდებობრივი სარგოების ოდენობის განსაზღვრის შესახებ“ საკრებულოს 2014 წლის 22 აგვისტოს N32 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე“, რომელშიც „საჯარო სამსახურის თანამდებობათა რეესტრის დამტკიცების შესახებ“ საქართველოს მთავრობის დადგენილების შესაბამისად განხორციელდა გამგეობასა და საკრებულოში თანამდებობათა რანგირება.

სხდომაზე ასევე განხილულიქნა „ხობის მუნიციპალიტეტის ადგილობრივი ბიუჯეტით გამოყოფილი ასიგნებების გადანაწილების წესის დამტკიცების შესახებ“ დადგენილების პროექტი, რომლითაც განისაზღვრა გამგებლის უფლებამოსილება ადგილობრივი თვითმმართველი ერთეულის ბიუჯეტის ასიგნებების გადანაწილებასა და პროგრამულ კლასიფიკაციაში ცვლილებებთან დაკავშირებით.

დადგენილების პროექტით „ხობის მუნიციპალიტეტის ადგილობრივი თვითმმართველობის საჯარო თანამდებობათა დასაკავებელი კონკურსისა და ადგილობრივი თვითმმართველობის მოხელეთა ატესტაციის ჩატარების და საკონკურსო-საატესტაციო მუდმივმოქმედი კომისიის საქმიანობის წესის დამტკიცების თაობაზე“ ხობის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2014 წლის 21 ნოემბრის N38 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე“ დამტკიცდა ხობის მუნიციპალიტეტის ადგილობრივი თვითმმართველობის მოხელის სამსახურებრივი დახასიათებისა და ხობის მუნიციპალიტეტის ადგილობრივი თვითმმართველობის მოხელის საატესტაციო ფურცლის ფორმები.

საკრებულოზე მოსმენილიქნა ხობის მუნიციპალიტეტის გამგებლის ანგარიში ხობის მუნიციპალიტეტის გამგეობის მიერ 2014 წლის განმავლობაში გაწეული საქმიანობის შესახებ, სადაც გამგებელმა დეტალურად ისაუბრა ყველა იმ პროექტებზე, რაც გასულ წელს წარმატებით განხორციელდა ადგილობრივი ხელისუფლების მხრიდან. საკრებულომ გამგეობის მიერ 2014 წელს გაწეული საქმიანობა ერთხმად დადებითად შეაფასა.

ამ და დღის წესრიგით გათვალისწინებული სხვა საკითხების განხილვის შემდეგ სხდომა დახურულად გამოცხადდა.

## ყულევში სამლოცველო სახლი გაიხსნა



ყულევის ადმინისტაციულ ერთეულში წმინდა ნიკოლოზის სახელობის სამლოცველო სახლი გაიხსნა. ფოთისა და ხობის ეპარქიის მამებმა აკურთხეს სამლოცველო, სადაც კვირაში ერთხელ მღვდელი იოანე კორძაია ყოვლადწმიდა ღვთისმშობლის პარაკლისს აღავლენს. სამლოცველო სახლის გახსნას ესწრებოდნენ ადგილობრივი ხელისუფლების წარმომადგენლები და ყულევის ადგილობრივი მოსახლეობა.

**ხობის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ინფორმაციები**

## თათბირი გამგებლის წარმომადგენლებთან



ხობის მუნიციპალიტეტის გამგეობაში, ხობის მუნიციპალიტეტის გამგებელი გოჩა ქაჯაია და გამგებლის მოადგილე მახარე ჩოკორაია ხობის მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციულ ერთეულებში გამგებლის წარმომადგენლებს შეხვდნენ. თათბირზე საგაზაფხულო ხვნა-თესვასა და აგროტექნიკურ ღონისძიებებზე ისაუბრეს.

ხობის მუნიციპალიტეტში დღეის მდგომარეობით მოხნულია 4700 ჰექტარი მიწის ნაკვეთი, უამინდობის გამო კი დასამუშავებლად 3000 ჰექტარი მიწაა დარჩენილი. შპს „მექანიზატორის“ მიერ დამატებით შემოყვანილია ტრაქტორები. საგაზაფხულო სამუშაოები უახლოეს დღეებში დასრულდება.

გამგებელი მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციულ ერთეულებში გამგებლის წარმომადგენლებს მიწების აღრიცხვიანობის სრულყოფის საჭიროებაზე ესაუბრა და აღნიშნა, რომ აუცილებელია სახელმწიფოსა და ფერმერთა მფლობელობაში არსებული მიწების გამიჯვნა.

თათბირზე დამსწრეებს მიეცათ შესაბამისი დავალებები, ასევე დაევალათ მოსახლეობის დროულად ინფორმირება მავნებლების გავრცელების წინააღმდეგ გასატარებელ ღონისძიებებთან დაკავშირებით. დროულად გატარებული მექანიკური და აგროტექნიკური ღონისძიებები შეამცირებს მავნებლის გავრცელებას, რაც საბოლოოდ ხელს შეუწყობს მცენარეების და მოსავლის გადარჩენას.

## ხობში პროექტ „ჯვარი-ხორგის“ განხორციელება დაიწყო

ხობის მუნიციპალიტეტში პროექტი „ ჯვარი-ხორგის“ ინფრასტრუქტურული სამუშაოები მიმდინარეობს. სამუშაოები ხობის მუნიციპალიტეტის გამგებელმა გოჩა ქაჯაიამ ჩამოსულ სტუმრებთან ერთად დაათვალიერა. ჩამოსულ სტუმრებს შორის იყვნენ საქართველოს სახელმწიფო ელექტროსისტემის მმართველთა საბჭოს თავმჯდომარე-რეაბილიტაციის მმართველი სულხან ზუმბურიძე, ადმინისტრაციული დეპარტამენტის უფროსი გიორგი აბუთიძე, პროექტების ნებართვებისა და სახელმწიფო სტრუქტურებთან დეპარტამენტის უფროსი ლევან ლომინაძე, პროექტის ნებართვების სამსახურის უფროსი მამუკა კახიძე, მმართველთა საბჭოს წევრები მამუკა პაპუაშვილი, გიორგი შარკოვი და მშენებელი კომპანია „სიმენსის“ წარმომადგენლები ზორან დაბიჩი და ტანიშა კატანიჩი.

ხობის მუნიციპალიტეტში „საქართველოს სახელმწიფო ელექტროსისტემა“ და მისი შვილობილი კომპანია „ენერგოტრანსი“, 500–220 კილოვოლტიანი მაღალი ძაბვის ქვესადგურისა და 220 და 500 კილოვოლტიანი ორჯაჭვა ხაზების მშენებლობას განახორციელებენ.

პროექტი „ჯვარი-ხორგის“ შესახებ ხელშეკრულებას ხელი საქართველოს ენერგეტიკის მინისტრმა კახა კალაძემ, საქართველოს ფინანსთა მინისტრმა ნოდარ ხადურმა და „საქართველოს სახელმწიფო ელექტროსისტემის“ რეაბილიტაციის მმართველმა სულხან ზუმბურიძემ მოაწერეს.

ჯვარის 500–220კვ ქვესადგურის მშენებლობის კონტრაქტორია ტენდერში გამარჯვებული პორტუგალიური კომპანია EFACEC, ხოლო გადამცემი ხაზის მშენებლობას ინდური ფირმა Jyoti construction განახორციელებს.

პროექტის მიზანია 220 კილოვოლტიანი ქსელის იმედიანობის გაზრდა და დასავლეთ საქართველოს ელექტრომომარაგების წყაროების დივერსიფიკაცია; ასევე ფოთის თავისუფალი ინდუსტრიული ზონის ელექტრომომარაგების საიმედოობის ამაღლება და გაზაფხულის წყალმეტობის პერიოდში საექსპორტო ელექტროენერგიის სიმძლავრეების უზრუნველყოფა.

პროქტის საერთო ღირებულება დაახლოებით 50 მილიონ ევროს შეადგენს. პროექტს გერმანიის განვითარებისა და რეკონსტრუქციის ბანკი (KFW); ევროპის განვითარებისა და რეკონსტრუქციის ბანკი (EBRD) და ევროკავშირის სამეზობლო საინვესტიციო მექანიზმი (NIF) დააფინანსებენ.

პროექტის განხორციელება მიმდინარე წელს დაიწყო და 2016 წელს დასრულდება.

WWW.khobi.ge

ომის ექო

# „ხსოვნა–სიცოცხლეა“

9 მაისს მსოფლიო ზეიმობს ფაშისტურ გერმანიაზე გამარჯვების დღეს. მემატიანე შვიდ ათეულ წელს მიითვლის რაც მსოფლიომ ფაშიზმი, როგორც „შავი ჭირი“ მოიშორა.

დიდი სამამულო ომის დროს ქვეყნის ინტერესებს ჩვენი რაიონიდან 3507 ადამიანი იცავდა. აქედან ბევრი ჯილდოებით მკერდდამშვენებული შინ დაბრუნდა. ბევრი კი ბრძოლის ველზე გმირულად დაეცა.



ყველა თაობას თავისი ომი აქვს. აქედან გამომდინარე, ჩვენ ყველამ ვიცით მშვიდობის ფასი. ამიტომ ვალდებული ვართ, პატივი მივაგოთ დაღუპულთა ხსოვნას, მოვეფეროთ იმ ამაგდარ გმირებს, ვინც ცოცხალია.

სწორედ ეს იდეა გასდევდა ლაიტმოტივად იმ ღონისძიებას „ხსოვნა–სიცოცხლეა“, რომელიც 9 მაისს ხობის მუნიციპალიტეტის კულტურის ცენტრის ორგანიზებით ტრადიციულად ხეთის მხარეთმცოდნეობისა და დიდების მუზეუმში გაიმართა.

დილის 11 საათია, ისმის ცნობილი სიმღერის ხმა „გამარჯვების დღე“...

ცენტრალურ ადგილს იკავებენ დიდი სამამულო ომის ვეტერანები–ალიოშა ცხადაია, ოთარ კობახიძე, უშანგი შელია, კაპიტონ ცხადაია.

ღონისძიებას უძღვებოდა ხობის მუნიციპალიტეტის კულტურის ცენტრის დირექტორი ბატონი ბეჟან ნადარაია. მან ვეტერანებს მიმართა:

–„თქვენ ფაშიზმზე გამარჯვების დიდი მონაპოვრის შემოქმედები ბრძანდებით, ძვირფასო ვეტერანებო! გილოცავთ 9 მაისს, თქვენთვის განსაკუთრებულ დღეს, დიდი ხნის სიცოცხლესა და ჯანმრთელობას გისურვებთ“.

„გუგუნებენ“ ანსამბლ „კოლხეთის“ მომღერლები: „ძმათა საფლავზე“, „ბედნიერია სოფელი“. მსახიობმა რამაზ ლოლუამ ლექსი „ღიმილის ბიჭი ვიყავი“ ჩვეული ოსტატობით, ხოლო ბადრი ლომაიამ კი საკუთარი ლექსი „უსახელო ჯარისკაცი“ წაიკითხეს.

ადგილობრივი ხელისუფლების წარმომადგენლებმა, ომის ვეტერანებმა და მოწვეულმა სტუმრებმა შინმოუსვლელთა საფლავები ყვავილებით შეამკეს და სანთლები აანთეს.

საზეიმო შეხვედრაზე ვეტერანებს მიესალმნენ ხობის მუნიციპალიტეტის გამგებელი ბატონი გოჩა ქაჯაია და მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარე ბატონი ედიშერ ჯობავა. მათ საქართველოს პრემიერ მინისტრის მიერ დაწესებული სპეციალური ჯილდო, მისალოცი ბარათი და ფულადი საჩუქრები გადასცეს ვეტერანებს. მათ პირად საბანკო



ანგარიშზე სახელმწიფო ბიუჯეტიდან 1000 ლარი, ადგილობრივი ბიუჯეტიდან 150, ხოლო 100 ლარი შ.პ.ს. „შავი ზღვის ტერმინალისგან“ დაერიცხათ, ასევე მათ საქართველოს პარლამენტის წევრის, ხობის მაჟორიტარი დეპუტატის გოდერძი ბუკიასგან სასაჩუქრე პაკეტი გადაეცათ.

ომის ვეტერანებს, ადგილობრივი ხელისუფლების წარმომადგენლებს, დამსწრე საზოგადოებას მიესალმა ომის ვეტერანთა რაიონული საბჭოს თავმჯდომარე ბატონი ალიოშა ცხადაია. მან ვეტერანების სახელით მათი ღვაწლის დაფასებისთვის სამადლობელი სიტყვით მიმართა საქართველოს პრემიერ-მინისტრს ბატონ ირაკლი ღარიბაშვილს, საქართველოს პარლამენტის წევრს, ხობის მაჟორიტარ დეპუტატს გოდერძი ბუკიას, შ.პ.ს. „შავი ზღვის ტერმინალის“ ხელმძღვანელობას, ხობის მუნიციპალიტეტის გამგებელს ბატონ გოჩა ქაჯაიას და საკრებულოს თავმჯდომარეს ბატონ ედიშერ ჯობავას გულისხმიერებისა და თბილი სიტყვებისთვის.

ბატონ ალიოშა ცხადაიას არც ბატონი ნუგზარ ნადარაია გამორჩენია მხედველობიდან და მას მხარდაჭერისთვის გულისხმიერი მადლობა გადაუხადა.

ღონისძიების დამთავრებისთანავე ხობის მუნიციპალიტეტის გამგებელმა გოჩა ქაჯაიამ, მაჟორიტარი დეპუტატის ბიუროს უფროსმა რევაზ წულაიამ, გამგეობის განათლების, სპორტის, ძეგლთა დაცვის და ახალგაზრდულ საქმეთა სამსახურის უფროსმა ქალბატონმა როზეტა შულაიამ და საკრებულოს ფრაქცია „ქართული ოცნების“ თავმჯდომარემ ლევან ქავთარაძემ ის ვეტერანები მოინახულეს, რომლებმაც ავადმყოფობის გამო, ვერ შეძლეს ღონისძიებაზე მოსვლა, მათ კიდევ ერთხელ მოეფერნენ, გადასცეს საჩუქრები და სამშობლოს თავდადებისთვის მადლობა გადაუხადეს.

ვეტერანებმა უდიდესი მადლობა გამოუცხადეს ხელისუფლებას მათ მიმართ გამოჩენილი ყურადღებისთვის!

დღის მეორე ნახევარში ვეტერანთა საპატივცემლოდ საზეიმო სადილი გაიმართა.

ცრემლნარევი დღე ტრადიციულად ლამაზად დამთავრდა. დასანანია, რომ ვეტერანთა რიგები ყოველწლიურად მცირდება...

დიდება დაღუპულ მეომართა ხსოვნას, ჯანმრთელობა ჩვენს სახელოვან ვეტერანებს.

**ნაირა ბერაია.**

# გილოცავთ ყველას...

*ყველას, ყველას... მეორე მსოფლიო ომის ღირსეულ ვეტერანებს, ჩემს ძვირფას ხობელებს, რომლებიც, ღვთის წყალობით, ფაშიზმზე გამარჯვების 70-ე წლისთავს შეხვდებით სიხარულის ცრემლებით, ძველი ტკივილების გახსენებით... ყველას, ყველას გილოცავთ: ბატონ ალიოშა ცხადაიას, გრიგოლ ლეფსაიას, უშანგი შელიას, ვალიკო ჭითანავას, სერაპიონ ჯაკონიას, შოთა უფლისაშვილს, შალვა ჯავახიშვილს, ოთარ კობახიძეს, ჟორჟი ბუკიას. ზოგი თვითონ წაიკითხავს ამას, ზოგს წაუკითხავენ (ძალიან დიდი სურვილი მაქვს ამისა) და მინდა გითხრათ: გეფერებით ყველას, კიდევ დიდხანს იცოცხლეთ.*

**ზოია ცხადაია,**
*თბილისი, შოთა რუსთაველის ქართული ლიტერატურის ინსტიტუტის უფროსი მეცნიერ-თანამშრომელი, პროფესორი.*



ბედნიერი ვარ, რომ ამ საშინელი ომის 70-ე წლისთავზე დიდად პატივსაცემ ვეტერანთა შორის ბიძაჩემიც არის–ალექსანდრე ანდრის ძე ცხადაია, ჯანსაღი გონებით, უნაკლო მეხსიერებით, თუმცა ძველი შემართებით ვერ გაივლის, მუხლებმა უმტყუნა, გული კი ისევ ისე უცემს–ძველი სიხარულით, დღევანდელი დღის სევდანარევი ბედნიერებით. მინდა მის ომისდროინდელი წამების გზაზე და უჩვეულო ბედისწერის ხვედრზე მოვუთხრო მკითხველებს:

ალექსანდრე ცხადაია 1941 წლის ივლისში გაიწვიეს ომში. მაშინათვე ჩაერთო ბრძოლებში. 1941 წლის ოქტომბერში ქ. ზაპოროჟიეს მიდამოებში ტყვედ ჩავარდა. დაბა ბერესტიკას (უკრაინა), შემდგომ ქ. კატოვიცეს (პოლონეთი) საკონცენტრაციო ბანაკებში, სადაც ამუშავებდნენ მძიმე ფიზიკურ სამუშაოებზე მაღაროში; შემდგომ გადაიყვანეს ქ. ბერლინთან არსებულ ბანაკში, საიდანაც განთავისუფლდა მოკავშირეთა არმიის მიერ, 1945 წლის მაისში. ტყვეობის ძირითადი ნაწილი–თითქმის ოთხი წელი, მან კატოვიცეს საკონცენტრაციო ბანაკში გაატარა (ფაქტები მოტანილია საქართველოს სახელმწიფო უშიშროების სამინისტროს მიერ გაცემული ცნობის საფუძველზე, რომელსაც ხელს აწერს სუსის განყოფილების უფროსი ი. მირონოვი).

მინდა გულისტკივილით აღვნიშნო ერთი ფაქტი: მაღალი ეშელონების, ახლო წარსულის ჩინოვნიკების უსულგულობა და გულგრილობა ყოფილი ტყვეებისადმი. დაახლოებით თხუთმეტი წლის წინ გერმანიის სახელმწიფომ გააკეთა 15-ათასიანი (ამერიკული დოლარი) კომპენსაციის გაცემის განაცხადი ყოფილ სამხედრო ტყვეებზე. საქართველოში ეს ერთეულებმა მიიღეს. ჩვენ მივმართეთ თბილისში უმაღლეს სამხედრო ინსტანციას და გვიპასუხეს, რომ: ალექსანდრე ცხადაია თუ იმყოფებოდა ისეთ საკონცენტრაციო ბანაკში, სადაც გაზის კამერა იყო, მხოლოდ მაშინ მისცემდნენ კომპენსაციას. ამას დაერთო ისიც, რომ 1991–1992 წ.წ. მოვლენების დროს ყოფილი სუკის ადმინისტრაციული შენობა დაიწვა და საქმეებიც განადგურდაო. ფაქტობრივად კი, შესაძლებელი ყოფილა, მიემართათ მოსკოვისთვის, მაგრამ, ალბათ, მოსკოვს ამისთვის არ ეცალა, არ აინტერესებდათ; გვიან გავიგეთ: ვინც მოახერხა აღება კომპენსაციის, თვითონ გერმანიას მიმართეს (ტელევიზიითაც გამოცხადდა ადრე მისამართი, მაგრამ ჩაწერა და შემდეგ მიგნება გაგვიჭირდა). საბოლოოდ მაინც მოვახერხეთ გერმანიასთან დაკავშირება, ალექსანდრე ცხადაიას მოუვიდა პასუხი დიდი ბოდიშის მოხდით, რომ უკვე ერთი წლის დამთავრებული იყო კომპენსაციის გაცემა; ასე არ მიიტანეს გულთან მხცოვანი კაცის თხოვნა (ეს ის დრო იყო, ვეტერანების პენსიებიც გაყინული რომ იყო)... ასე რომ, ტყვეობის შემდეგაც ყოფილა გულისტკენა, თუმცა არასოდეს, ალბათ, არავის უნახავს იგი მომდურავი, გულნაწყენი. დიდსულოვანი კაცია და ამიტომაც დაინდო ბედმა.

საგანგებოდ დავაწერინე ბიძაჩემს მოგონებები ამ რამდენიმე წლის წინ. თბილისშიც ჩამოდიოდა და ჟურნალ „გუმბათში“ მისი ინტერვიუც გამოქვეყნდა. ძალზე საინტერესოა მისი მეომრული თავგადასავალი:

1941 წლის ოქტომბერში ტყვედ რომ ჩავარდა, მარცხენა ფეხში მძიმედ იყო დაჭრილი. ტყვეთა ბანაკში რუსმა ტყვე ექიმებმა ტყვიები ამოუღეს და სიკვდილს გადაურჩა (მანამ კი ერთი საოცარი რამ გადახდა).

გერმანელებთან ბრძოლის დროს დაჭრილი და დახოცილი ჯარისკაცები ერთად ეყარნენ თურმე. საკონტროლო სროლით ჩამოუარეს თურმე გერმანელებმა ჯარისკაცებს. ალექსანდრესთან რომ მოსულა გერმანელი, თვალი თვალში მოხვდა და არ ვიცი, რა თვალით შევხედე, არ მესროლა და ჩაიარაო... ეს არის მისი ერთი დაუვიწყარი მოგონება;

მეორე: ქ. კატოვიცეში 100-150 მეტრი სიღრმის მაღაროში ნახშირის ამოღებისას ღვედის გადამცემ რგოლს ედგა თურმე დარაჯად, ნახშირი რომ არ გადმოცვენილიყო. ერთხელაც მარჯვენა ხელი მოაყოლა თურმე და ჩაითრია ღვედმა, რაც სიკვდილს ნიშნავდა. უნდა გამოერთოთ მთელი მაღარო, ამას კი ტყვისთვის არ გააკეთებდნენ. მოხდა სასწაული, მის ყვირილზე მოსულა ცვლის უფროსი, ვინმე საკორა, განგაში გამოაცხადა, ღვედის მოძრაობა გააჩერეს, საკორამ თავისი ხელით გადაჭრა 2 მეტრიანი ღვედი, ჩემი ხელი ამოიღეს, ოპერაცია გამიკეთესო–იგონებს იგი. ხელი კი თითქმის უმოძრაოდ აქვს

»»»»»»»» 4

## ომის ექო

3

დღემდე (ვფიქრობ, ამან გადაარჩინა ომიდან დაბრუნებული რეპრესიას, სიმულაციად მიიჩნიეს მისი შემთხვევა, ანუ–თითქოს პროტესტის ნიშნად, განგებ მოაყოლა ხელი... სინამდვილეში, მართლაც უბედური შემთხვევა იყო)...

ისიც მახსოვს, უთქმელი იყო, არასოდეს არავის არაფერს უყვებოდა. სხვაგვარად არც შეიძლებოდა. მხოლოდ ბოლო წლებში, უკვე თავისუფალ საქართველოში გვიამბო ბევრი რამ ჩვენც და სხვებსაც. იყო ისტორიის შესანიშნავი მასწავლებელი, წლების განმავლობაში შუა ქვალონის სკოლის დირექტორი, რესპუბლიკის დამსახურებული მასწავლებელი, ბრძოლის და შრომის მედლების, ასევე ღირსების ორდენის მფლობელი, მიხარია, რომ ერთად ვართ, ერთად ვხვდებით ამ დიად დღეს. ვულოცავ, ჩემს ძვირფას ბიძას და ყველა მის თანამებრძოლს კიდევ ერთხელ.

***P.S.*** *ეს განსაკუთრებული წელია, 70–ათეული... თუნდაც თითო წინადადებით გავიხსენებ მათ, რომელთა გახსენება კიდევ შეგვიძლია. ჯერ კიდევ სტუდენტი, ხობის გაზეთთან ვთანამშრომლობდი და საგანგებო წერილები მქონდა შინმოუსვლელებზე. ნათელი ხსოვნა იყოს მათი და მოვიგონოთ ისინი: მირიან მინჯორაია (ლალი მინჯორაიას მამა), მხოლოდ სამი დღით ჩამოსულა ომიდან, ლალი ახალფეხადგმული უნახავს. ომის დამთავრებამდე 40 დღით ადრე დაიღუპა ბერლინში... 20 თებერვალს დაწერილი უკანასკნელი წერილი კი მიიღო ოჯახმა... დაღუპულის ჯიბიდან ამოღებული შვილის სურათებიც გამოუგზავნეს მერე ცოლ-შვილს, და დედას ეფროსინე მინჯორაიას, რომელსაც მაინც არ სჯეროდა შვილის სიკვდილი და ბოლომდე ელოდა...*

*ომში წავიდნენ და უგზო უკვლოდ დაიკარგნენ ჩემი ოჯახის ახლობლები, ძმები–ბონდო და ბიძინა ცხადაიები, სტუდენტები, რჩეული ვაჟკაცები. ელოდნენ და იმედს არ კარგავდნენ დედ-მამა პეტრე და ჟენია ცხადაიები... უშვილძიროდ დაამთავრეს ცხოვრება ძმებმა...*

*წავიდა და დაიკარგა (უგზო-უკვლოდ როგორც იუწყებოდნენ მაშინ) ამირან ღადუა, ალექსანდრეს და მამაჩემის მეგობარი, კარის მეზობელი... მთელი ცხოვრება დასტიროდა დედამისი მის სურათს... მახსოვს, გერონტი ლეფსაიაზე, წარმოსადეგ ახალგაზრდა კაცზე გავაკეთე ნარკვევი (იური ლეფსაიას მამა)... წავიდა და აღარ დაბრუნებულა... დაბრუნდა მამაჩემი, მაგრამ დაჭრილი, ავადმყოფი, დიდხანს ებრძოდა სიკვდილს, მაგრამ ამაოდ... დღეს მისი დღეცაა... ყველას დღეა–ხსოვნისთვის, მოგონებისთვის.*

## მამას

(ვუძღვნი მამას ვიქტორ ცხადაიას)

მას ჯარისკაცის ფარაჯა ეცვა,
იგერიებდა მომხდურის ცეცხლს,
მან თვითონ ნახა ბერლინის ზეცა,
ბრანდენბურგს კარი რომ შეუმტვრიეს.
დაბრუნდა მამა ნატყვიარ მკერდით,
მტკივანი გულით დაბრუნდა იგი,
თუმც ცხადად ედგა სიკვდილი გვერდით,
ის მაინც იყო იმდენად მშვიდი,
იმდენად კარგი,
იმდენად ტკბილი,
რომ ქვეყანაზე ვიდრემდე ვივლი,
უმით ვატარებ ხსოვნას და ტკივილს.
თითქოს იმისთვის დაბრუნდა მხოლოდ,
რომ ჩვენ სიკვდილი გვენახა თვალით,
ფერმკრთალი სახით, ომის სიმბოლოდ
დაბრუნდა იგი ივლისის ღამით.
და ახლა, სადღაც მდინარის პირას,
ეკლის ღობესთან თვალს ახელს ია,
სამარადისო ძრილობას ხმინავს
და მამაჩემის საფლავი ჰქვია.

*ზოია ცხადაია,*

## წელთა სიმრავლე სულის სიბერე არ არის

ჩემო საყვარელო ადამიანებო!

70 წლის წინ თქვენ და თქვენმა თანამებრძოლებმა, საკუთარი სიცოცხლის ფასად, კაცობრიობა გადაარჩინეთ შავი ჭირისაგან, რომელსაც გერმანული ფაშიზმი ერქვა. გაუგონარი სისასტიკით მოსულ მტერს, ჩვენებური, ქართული თავდადება და გმირული სული დაუპირისპირეთ!

დღემდე მახსოვს და არც არასდროს დამავიწყდება, ნოჯიხევის რკინიგზის სადგურზე ომში მიმავალ ახალგაზრდათა გაცილების ცერემონია. ცრემლნარევი სიმღერითა და ცეკვით ვამხნევებდით. წამსვლელთა შორის მამაჩემიც იყო–ალექსანდრე (საშა) აბრამია. იგი მოხალისედ მიდიოდა ომში. ეშელონის გასვლამდე ათი წუთით ადრე გამოცხადდა: „მეგობრებო, 10 წუთში ეშელონი გადისო".

შეუძლებელია იმის აღწერა, რაც იმ დროს იქ ხდებოდა. მე მაშინ მე-5 კლასში ვიყავი. მახსოვს, მამაჩემი მომეხვია, ხელში ამიყვანა და მითხრა: „აბა შენ იცი, მერი, ჩემს ჩამოსვლამდე შენ უპატრონე ჩემს მოხუცებულებს. მე მალე დავბრუნდებიო". საბედნიეროდ, იგი დაბრუნდა „სამამულო ომის პირველი" და „სამამულო ომის მეორე ხარისხის", „წითელი ვარსკვლავის" ორდენებითა და 15 საბრძოლო მედლით მკერდდამშვენებული. ჰქონდა გენერალსინუსის 12 პირადი მადლობა, მაგრამ უამრავმა სამუდამო განსასვენებელი იქ, სისხლიან ფრონტზე ჰპოვა. ვერ დაუბრუნდა ოჯახს, ვერ იხილა მშობლიური მამულის ლამაზი სანახები.

დიდება მათ უკვდავ სახელებს!

თქვენ კი, ჩემო ძვირფასებო, ომგადახდილნო, ვალმოხდილნო ქვეყნისა და ხალხის წინაშე, დიდხანს იცოცხლეთ, თქვენი თავდადება სამაგალითოდ დარჩება კაცობრიობის ისტორიაში.

წელთა სიმრავლე, სულის სიბერე არ არის. არ შეშინდეთ! თქვენ მარად ახალგაზრდები ხართ და ასეთად დარჩებით მუდამ.

გეხვევით, გკოცნით

*თქვენი* ***მერი აბრამია.***

## ფიცი შენს სურათთან

(ვუძღვნი ჩემს უფროს ქალიშვილს მერის.
ალექსანდრე აბრამიას მიერ ფრონტიდან გამოგზავნილი ლექსი)

არ მინახიხარ რამდენი წუთიც,
მაშორებს შენგან რამდენი მეტრი,
გულს ტყვია მომხვდეს იმდენჯერ ხუთი
და შენმა თვალმაც ვერ მნახოს მეტი.
შხამად შემერგოს დედის რძე ტკბილი,
ხალხმა თქვას ჩემზე „წყეულიმც იყოს",
მამამ თქვას უკვე არა მყავს შვილი,
მშობელმა მიწამ დამგმოს, გამრიყოს,
თუ ვუღალატო ჩემს ხალხს, ჩემს მიწას,
თუ დავიშურო სიცოცხლე, სისხლი,
თუ ვინც აღმზარდა და დამაფიცა
გავხადო მონა–მორჩილი სხვისი.
თუ მივცე ნება, შენი შერცხვენის,
რომ ცოფიანმა გთელოს, გათრიოს
თუ არ ვიბრძოლო როგორც შეშვენის
ქართული გენის ნამდვილ პატრიოტს,
თუ ბრძოლის ველზე დავეცე გმირად,
თუ ბრძოლის ველზე დავღვარო სისხლი,
გთხოვ, წაიკითხო ეს ლექსი ხშირად
თქვა, სიყვარულის იყავი ღირსი.



*ალექსანდრე აბრამია*
*1943 წლის მარტი*

## ვალიკო ჭითანავა



დიდი სამამულო ომის კვალი საქართველოს ყველა კუთხემ იწვნია. გამონაკლისი არც ჩვენი რაიონი და მისი სოფლები იყო. სოფელმა პირველმა მაისმა, ძალზე ბევრ ახალგაზრდას დაულოცა ფრონტისკენ მიმავალი გზა. ბევრი მათგანი შინ ვერ დაბრუნდა. ვინ იცის, ვისთვის სად გაითხარა საძმო საფლავი. ქუდბედიანი ადამიანები, მიუხედავად გადატანილი ტკივილიანი დღეებისა, დაჭრისა და ლაზარეთში წოლისა, შინ დაბრუნდნენ და ცხოვრებით ტკბობაც მოასწრეს...

ომის გამოცხადების დღიდან, ქვეყანამ ქუდზე კაცს მოუხმო. სამხედრო ეშელონები ჯარისკაცებით ივსებოდა. პირველ დაძახილზევე ამ გზას 19 წლის პირველმაისელი ვალიკო სანდროს ძე ჭითანავა თავის თანატოლებთან ერთად გაუყვა და თან დედმამის, და-ძმების სიყვარული და ლოცვა-კურთხევა გაიყოლა. მან, ჯერ კრასნოდარის მხარეში წვრთნები გაიარა და შემდეგ სვლა ფრონტისკენ გააგრძელა, სადაც ბევრი მწარე დღეების ხილვამ მოუწია და 1941 წლიდან ომის დამთავრებამდე განვლო რუსეთის ქალაქები და ტრამალები, ბრძოლის ცხელი წერტილები და ბრძოლით ევროპის ქალაქებიც მოიარა. ბოლოს გერმანიაში დაიჭრა და დაჭრილმა მებრძოლმა გამარჯვების დიდი სიხარულიც იწვნია.

დამთავრდა ომი, იყო სისხლისღვრა, ნგრევა, გოდება, ტკივილი, შიმშილი, სიცივე, წყურვილი, მაგრამ გამარჯვების გაზაფხულმა ყველას ყველაფერი დაავიწყა. ასე დასრულდა ტკივილით სავსე დღეები და გერმანიიდან პირველმაისამდე სიხარულით აღსავსე დაბრუნდა თავის ოჯახში. ცხოვრება გააგრძელა, დაოჯახდა. მან და ქალბატონმა ივლიტამ სამი შვილი გაზარდეს. ვალიკო ცდილობდა ოჯახი ერჩინა და კოლმეურნეობაში შრომობდა. შრომისმოყვარე ადამიანები ცხოვრების რიტმს მიუყვებოდნენ.

70-ე გამარჯვების გაზაფხულს მოესწრო 93 წლის ვალიკო ჭითანავა. მართალია, დიდიხანია ავადმყოფობს და მწოლიარეა, მაგრამ გულს მაინც უხარია გამარჯვების დღე. ის ომის ვეტერანია და აფასებენ.

ბატონო ვალიკო, გამოჯანმრთელებას გისურვებთ. კიდევ მრავალ 9 მაისს მოსწრებოდეთ.

***ნანი კილასონია.***

## კაპიტონ ცხადაია



9 მაისი თითოეული ომგამოვლილისთვის, და არა მარტო მათთვის, ძალიან მნიშვნელოვანი დღეა. ეს დღე არის სიმბოლო მსოფლიო გაერთიანებისა და ბოროტების დამარცხებისა. ქართველთა ღვაწლი და როლი განუსაზღვრელია, მსოფლიო ომმა უმძიმესი ადამიანური ზარალი მიაყენა საქართველოს, აქედან გამომდინარე, ეს ჩვენი ისტორიაცაა, ისტორიას კი გაფრთხილება და სათუთად მოპყრობა სჭირდება. ვალდებულნი ვართ, ყოველთვის გავიხსენოთ მეორე მსოფლიო ომში მებრძოლი რაინდები. ჩვენს მუნიციპალიტეტში ასეთები კი სამწუხაროდ, თითზე ჩამოსათვლელიღა დარჩა... მინდა ეს მათთვის ღირშესანიშნავი თარიღი მივულოცო, ჯანის სიმრთელე და დიდიხნის სიცოცხლე ვუსურვო მათ.

კაპიტონ ცხადაია, ამ პიროვნებას ხობელები კარგად იცნობენ, დაიბადა 1924 წლის 8 აგვისტოს, 16 წლისა ფოთის გარნიზონში მსახურობდა, იყო მეზღვაური ომის წლებმა სწორედ იქ მოუსწრო, გარნიზონის წინა ხაზზე იბრძოდა. დაბომბვისას მძიმედ დაიჭრა... წინახაზზე ბრძოლა ვერ შეძლო...

ომის დამთავრების შემდეგ უმაღლესი განათლება მიიღო და სწავლული აგრონომი გახდა. 1948 წელს დაქორწინდა ტასო ზამბახიძეზე, ქალბატონი ტასო ამჟამად დამსახურებული აგრონომი გახლავთ. ბატონი კაპიტონი წლების განმავლობაში მუშაობდა; ახალსოფელში მთავარ აგრონომად, ჩაის ფაბრიკის გაერთიანების მთავარ აგრონომად, საიდანაც გავიდა პენსიაზე, ყავს ერთი ვაჟი, 2 ქალიშვილი, შვილიშვილები და 7 შვილთაშვილი. დღეგრძელობას და ჯანმრთელ სიბერეს ვუსურვებთ მას.

***ნინო გერგაია***

## ომის მძო

# ვალმოხდილი მეომრები ჩვენს გვერდით

***რაც უფრო გვშორდება ფაშიზმზე გამარჯვების ისტორიული დღე, სამწუხაროდ, მით უფრო მცირდება ომგადახდილ თანამემამულეთა რაოდენობა. ბევრი მათგანი იმქვეყნად წავიდა ფრონტზე მიღებული მოუშუშებელი ჭრილობებისა თუ სხვა მიზეზთა გამო.***

***...და მაინც, ჩვენს დღევანდელ ყოფას ამშვენებენ ადამიანები, რომლებმაც საგრძნობი წვლილი შეიტანეს ჰიტლერულ გერმანიაზე გამარჯვების მოპოვებაში.***

### შოთა უფლისაშვილი:



დიდებული ისტორიის მქონე ადამიანი... ომისა და შრომის ვეტერანი, მრავალი თაობების აღმზრდელი, თავის პროფესიაზე უზომოდ შეყვარებული დამსახურებული პედაგოგი, თითქმის საუკუნეს მიღწეული „ბერმუხა“. მუნიციპალიტეტის საზოგადოების ერთ-ერთი თვალსაჩინო და ცნობილი წარმომადგენელი.

ჩემმა სტუმრობამ გაახარა. გული დამწყდა, რომ ბატონი შოთას მეუღლე ჩემი უფროსი მეგობარი, ნეტარხსენებული ქალბატონი სულიკო დარჯანია არ დამხვდა (განათლების დარგის ღვაწლმოსილი პიროვნება, წლების განმავლობაში სკოლის დირექტორი).

ხანდაზმულობის მიუხედავად, ბატონ შოთას კიდევ მოსდევს ჯანი, თვალიც უჭრის და გონებაც სხარტი შემორჩენია.

დიდხანს ვისაუბრეთ, მაგრამ მრავალ ჭირ-ვარამგამოვლილ ადამიანებთან შეუძლებელია ღრმა მღელვარების გარეშე ისაუბრო, თუმცა ვფიქრობ, ძალზე საინტერესო საუბარი გამოგვივიდა. თანდათან ვრწმუნდებოდი თუ როგორი მეგობრული ღირსებებით აღსავსე და ურყევი იყო მის მიერ წარმოთქმული ყოველი სიტყვა, ფიცი, ერთგულება სამშობლოსადმი. ვაკვირდებოდი მის დაკოჟრილ ხელებს და ვფიქრობდი: „მშობელ მიწაში უდგას ფესვები“, ვერ ელევა თავის ნაშრომ-ნაჯაფს, თავის საუნჯეს–კოპწია ეზო-გარემოს, შრომობს და მასპინძლობს მოყვარეთ, შვილებს, შვილიშვილებს, შვილთაშვილებს.

ომისა და შრომის ვეტერანის საოჯახო არქივს ამშვენებს სხვადასხვა დროს მიღებული ჯილდოები, სიგელები, მედლები, ორდენები. ასევე „ომისა და სამხედრო ძალების ვეტერანის“ მოწმობა, რომლითაც სარგებლობს საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი უფლებებითა და შეღავათებით.

მართლაც არავინ და არაფერია დავიწყებული.

---

### შალვა ჯავახიშვილი:



ჭეშმარიტებაა, რომ 9 მაისის დღესასწაულს განსაკუთრებით აღნიშნავს ის ხალხი, ვინც თავის მხრებით ზიდა ომის მთელი სიმძიმე და პირადი წვლილი შეიტანა კაცობრიობის უბოროტესი მტრის–ფაშიზმის დამარცხებაში.

საამაყოა, რომ ჩვენს მხარდამხარ დღესაც მხნედ დააბიჯებს და შრომის ფერხულშია ჩაბმული ომის ქარცეცხლში გამოვლილი–ნაწრთობი არაერთი ჩვენი თანამემამულე. მსურს მკითხველს გავაცნო ყოფილი ფრონტელი ბატონი შალვა ჯავახიშვილი, სოფელ ჭალადიდის მცხოვრები, პატიოსანი, შრომისმოყვარე და სამშობლოს წინაშე ვალმოხდილი ადამიანი.

პირტიტველა ჭაბუკი სამშობლოს დამცველთა რიგებში 1941 წლის დასაწყისში ჩადგა. პირველი ნათლობა კავკასიის ფრონტზე მიიღო. მტკიცედ და ღირსეულად იცავდა სამშობლოს. მიღებული აქვს სიგელები, ჯილდოები, ომის დამთავრების შემდეგ ბატონი შალვა სამხედრო სამსახურში დარჩა და 1948 წელს მშობლიურ კერას დაუბრუნდა, შექმნა ოჯახი და დაუღალავად შრომობდა.

დღეს კი შვილებთან, შვილიშვილებთან და შვილთაშვილ ნიკოლოზ ჯავახიშვილთან მშვიდად განაგრძობს ცხოვრებას. ის კარგი ქართველი, კარგი მამა და ბაბუაა.

და ბოლოს...

ბატონ შალვასთან სტუმრობით მოხიბლულმა ვეცადე მისი თხოვნა შემესრულებინა და „ვახტანგურად“ ერთი ჭიქა ქართული ღვინო დამეცალა. დიდი ხნის სიცოცხლე ვუსურვე ბატონ შალვას.

დამშვიდობებისას ბატონ შოთა უფლისაშვილსა და შალვა ჯავახიშვილს ვთხოვე გამოეხატათ თავიანთი სურვილები,–პირველ რიგში დიდი მადლობა თქვენ მობრძანებისთვის. თქვენი მოსვლით შესაძლებლობა მოგვეცა, მადლობა გადაგვეხადა საქართველოს პარლამენტის ხობის მაჟორიტარი დეპუტატის ბატონი გოდერძი ბუკიასთვის და ადგილობრივი ხელისუფლების წარმომადგენლებისთვის, იმ დიდი ყურადღებისა და გულისხმიერებისთვის, რასაც ისინი ომის ვეტერანების მიმართ იჩენენ. ვისურვებდით, ქვეყნად იყოს მშვიდობა, რომ ჩვენმა მომავალმა თაობამ გაძლიერებულ და გაერთიანებულ საქართველოში მშვიდად იცხოვროს.

***ნაირა ბერაია.***

# უშანგი შელია



შინაარსით აღსავსე ცხოვრების გზა განვლო ამ ღირსეულმა ადამიანმა და ამ ხნის მანძილზე, მან თავისი პატიოსანი და უმწიკვლო ცხოვრებითა და სამსახურით ხალხისა და სამშობლოს შვილის მამაცი და ნიჭიერი მეომრის სახელი მოიპოვა.

19 წლის ჭაბუკი 1942 წლის 22 ივნისს გაიწვიეს ომში. იყო მეზღვაური, ბოცმანი. მონაწილეობდა რუმინეთის ბრძოლებში, მცირე მიწაზე, სევასტოპოლში და ქერჩის ბრძოლებში.

სამამულო ომის დამთავრების შემდეგ, სამხედრო სამსახურში 1948 წლამდე დარჩა.

საინტერესოა ამ პიროვნების საბრძოლო ეპიზოდები, ბუნებრივია, ასეთი თვალსაჩინო საბრძოლო დამსახურებისთვის მამაცი და უნარიანი მეომარი ღირსეულად დააფასეს, მის მკერდზე აკიაფდა „დიდი სამამულო ომის პირველი და მეორე ხარისხის ორდენები“, 7 მედალი, რითაც კანონიერად ამაყობს მისი მშობელი ქვეყანა.

სამხედრო სამსახურის დამთავრების შემდეგ სწავლა განაგრძო სოფლის მეურნეობის სპეციალობით. დაქორწინდა შესანიშნავ ქართველ მანდილოსანზე ქალბატონ ანუშა ბოხუაზე. ყავს სამი შვილი, ოთხი შვილიშვილი, ორი შვილთაშვილი. წლების განმავლობაში მუშაობდა სოფელ თორსაში სასოფლო საბჭოს თავმჯდომარედ, სოფლის მეურნეობის პროფკავშირის თავმჯდომარედ, მან თავის დროზე ჩვეული ენერგიითა და მონდომებით დიდი წვლილი შეიტანა მშობლიური სოფლის აღორძინებაში. ამის გამო არაერთხელ ყოფილა დაჯილდოებული ორდენებითა და მედლებით. იყო საკავშირო მნიშვნელობის პერსონალური პენსიონერი.

მისი საფრონტო ჯარისკაცული ბიოგრაფია მოკლე და სხარტია, მაგრამ ძუნწი სიტყვებითაც ბევრის მთქმელი...

ბატონ უშანგის საკუთარ საბრძოლო ისტორიაზე საუბარი, თავისი თავმდაბლობის გამო არ უყვარს, მაგრამ ყველა დღესასწაულთა შორის, როგორც მისმა ქალიშვილმა ქალბატონმა დონარა შელიამ გვითხრა, გამორჩეულად ელოდა 9 მაისს–მტერზე გამარჯვების დღეს. მიუხედავად ხანდაზმულობისა, მან წელსაც სიმხნევეს მოუხმო, კიდევ ერთხელ ეწვია ხეთის შინმოუსვლელთა მემორიალს.

ჯანმრთელობა და დიდი ხნის სიცოცხლე მას და მის მონაგარს.

***ნაირა ბერაია.***

# გრიგოლ ლეფსაია



მისი ბიოგრაფია სხვა ფრონტელი მეგობრებისაგან ბევრად განსხვავებული არ არის... სამშობლოს დამცველთა რიგებში სულ ახალგაზრდა ჩადგა, პოეტის სიტყვები–

„სამშობლოს არვის წავართმევთ,  
ჩვენც ნურვინ შეგვეცილება,  
თორემ ისეთ დღეს დავაყრით,  
მკვდარსაც კი გაეცინება“

წაიმძღვარა წინ. დედის ლოცვა-კურთხევამ თუ ბედისწერამ ომის ქარცეცხლიდან საღ-სალამათი დააბრუნა. ომის დამთავრების შემდგომ ერთი წელი კვლავ დარჩა სამხედრო სამსახურში და 1946 წელს შინ დაბრუნდა, რა თქმა უნდა, როგორც მისი თანამებრძოლები, ისიც ჯილდოებით მკერდდამშვენებული.

სოფელ ქვემო ქვალონში (ჭითაუშკურის უბანში) გრიგოლ ლეფსაიას კარმიდამო გამორჩეული სილამაზისაა, მზრუნველობა და წესრიგი ყველა წვრილმანს ეტყობა. ბატონი გრიგოლი უკვე ხანდაზმულია, მაგრამ მისი შვილები და შვილიშვილები ოჯახს ჩინებულად უძღვებიან.

მასთან საუბარი დიდხანს არ გაგრძელებულა, თავად შეუძლოდ გახლდათ, მაგრამ სამადლობელის თქმა ხელისუფლების და საქართველოს პარლამენტის ხობის მაჟორიტარი დეპუტატის ბატონ გოდერძი ბუკიას მისამართით მაინც მოახერხა.

–ომის მონაწილეებს ყურადღება და პატივისცემა არასოდეს გვაკლდა (თუ არ ჩავთვლით პენსიების „გამყინვარების“ წლებს), მაგრამ რაც წელს მივიღეთ, ასეთი შემთხვევა არ მახსოვს. როგორც იცით, მთავრობამ 1000 ლარი, ყულევის ტერმინალმა 100, ადგილობრივმა ხელისუფლებამ კი 150 ლარი გადმოგვცა საჩუქრად,

მაჟორიტარი დეპუტატი გოდერძი ბუკია ყოველწლიურად გვასაჩუქრებდა. წელს კი უკვე ორჯერ გამოგვიგზავნა საჩუქარი, ძირითადად საკვები პროდუქტები, მინდა მადლობა გადასცეთ მას ვეტერანების დახმარებისთვის–მითხრა მან.

თანასოფლელებს ახსოვთ გრიგოლ ლეფსაია მშობლიური სოფლის კოლმეურნეობისა და მეურნეობის მოწინავეთა და გამორჩეულთა რიგებში, კარგი ოჯახის მამა და ბაბუა. ამიტომაც ესიყვარულებიან დღესაც, პატივს სცემენ და უხარიათ, რომ კვლავ მხნეობს მოხუცი, უკვე 91 წლის, ომგადახდილი. მეუღლე თინა კობახიძესთან, შვილებთან და შვილიშვილებთან ერთად კიდევ ხელს აშველებს მის მონაგარს, სიბერეს ბედნიერად ატარებს.

მოკითხვა, რა თქმა უნდა, გაუხარდა. უკვე ფაციფუცობდა, 9 მაისს მეგობრებთან შესახვედრად ადრიანად დაუწყია მზადება... ჩვენც მხნეობა, დიდი ხნის სიცოცხლე ვუსურვეთ ქვეყნის წინაშე ვალმოხდილ ადამიანს და კიდევ ერთხელ მივულოცეთ ფაშიზმზე გამარჯვების 70-ე დღესასწაული.

ვისურვებდი კიდევ მრავალგზის მიმელოცოს.

***მერი ლაგვილავა.***

# სერაპიონ ჯაკონია



ძველხიბულელი სერაპიონ ჯაკონია, თავისი თანატოლების მსგავსად, ლამაზ მომავალზე ოცნებობდა. თუმცა ცხოვრება არც ისე ანებივრებდა, რადგანაც დრო იყო ისეთი, ფუფუნება მეტნაკლებად ჰქონდათ მშრომელ ადამიანებს. ოცნება კი ვინ იცის ახალგაზრდის სულს საით ან ვისკენ იზიდავდა...

თუმცა ლამაზი ოცნებები უეცრად დაიმსხვრა. დაიწყო დიდი სამამულო ომი, რომელმაც ყველა ოჯახს მოუკაკუნა და მშრომელი გლეხკაცი ჯარისკაცად აქცია. სოფელი თუ ქალაქი თითქმის დაცარიელდა. ომის ძახილმა ძველხიბულელი თადაოზ და ნინუცა ჯაკონიას სახლშიაც შეაღწია. დედისა და მამის წუხილის მიუხედავად, ქვეყნის სიყვარულით გულანთებულმა 18 წლის ჭაბუკმა ჯარისკაცის ფარაჯა ჩაიცვა და როგორც მოხალისე, ფრონტისკენ მიმავალ გზას გაუდგა. თავის აწგარდაცვლილ ძმა ომარისთან ერთად. სერაპიონი დედმამიშვილებში ყველაზე უმცროსი იყო. ეს იყო 1942 წლის სექტემბერი.

ის უკრაინაში იბრძოდა, სევასტოპოლში, იქ, სადაც ასობით ქართველმა ჯარისკაცმა ჰპოვა ძვალთშესალაგი. 1947 წლის 20 აპრილს უკვე დავაჟკაცებულმა, ნაომარმა ახალგაზრდამ, დემობილიზაციის შემდეგ მშობლიურ კუთხეს მიაშურა. რაოდენ დიდი სიხარული სუფევდა ოჯახში, როცა დედ-მამას, და-ძმას საღ-სალამათი სერაპიონი დაუბრუნდა. სოფელმაც გაიზიარა მათი სიხარული. ის დაჯილდოებული იქნა სამამულო ომში გამარჯვების ორდენით.

ერთი წლის შემდეგ სერაპიონმა მუშაობა დაიწყო ნარაზენის ჩაის ფაბრიკაში, სადაც 30 წელზე მეტი იღვაწა.

დრო გავიდა და ის დაქორწინდა, ოთხი შვილი ეყოლა, ბატონი სერაპიონი ხუთი შვილიშვილის ბაბუაა.

90 წელს გადაცილებულმა მოხუცმა ბევრი ტკივილი თუ სიხარული გაითავისა. სამწუხაროა, რომ ის ერთადერთი ვაჟიშვილის გარდაცვალებას მოესწრო. ეს მისთვის დიდი ტკივილი და სევდა გახლავთ. დღეს კი მოხუც მამას რძალი, ქალიშვილები და შვილიშვილები სიცოცხლეს ულამაზებენ.

ბატონი სერაპიონისთვის 70-ჯერ მოვიდა გამარჯვების მაისი. ეს დღე მისთვის განვლილი ტკივილიანი დღეების მოგონების დროა. ამ დღეს აგონდება ომის მწარე და განცდილი დღეები. მის თვალწინ დაღუპული მეომრები, სიცივე, შიმშილი, ზამთრის სუსხი, მშობლების, და-ძმების უნახაობა...

დიდხანს იყავით ბატონო სერაპიონ. კიდევ მრავალ 9 მაისს მოსწრებოდეთ ომგადახდილო ადამიანო.

***ნანი კილასონია.***

ომის მძო

# ოთარ კობახიძე



ცოტა ხნის წინ ბატონმა ოთარმა 90 წლის იუბილე გადაიხადა. მაშინ აეკვიატა საყვარელი მწერლის ვაჟა-ფშაველას სტროფები „დამძინებიყო ჭაბუკსა, პირტიტველს, უწვერულასა, გამომეღვიძა... თმა-წვერი, მიგავდა ბამბის ქულასა, რა მალე გავთეთრებულვარ! ნეტავ სადა და როდის? გავმხდარვარ წლისა ასისა, დაძინებული ოცისა“.

ეს სიტყვები ნამდვილად შეეფერება მის წელთა სიმრავლეს.

ოთარ კობახიძე დაიბადა სოფელ პირველ მაისში. 7 კლასიც აქ დაამთავრა, საშუალო სკოლა კი ზუგდიდის რაიონის სოფელ აბასთუმანში. ყველას უჭირდა ცხოვრება, მძიმე პერიოდი იყო ქვეყნისთვის, მეორე მსოფლიო ომის დაწყებისთანავე გახდა კომკავშირელი, თავის მეგობრებთან ერთად ასრულებდა ფიზიკურ სამუშაოს, გამომუშავებულ თანხას კი რიცხავდნენ საქართველოს ავიამშენებლობის ფონდის ანგარიშზე. მას ეამაყება ეს წლები. ბატონი ოთარის ხუთი დედმამიშვილიდან, უფროსი დავითი 1942 წელს სამამულო ომში უგზო-უკვლოდ დაიკარგა, მისგან მხოლოდ სამკუთხა ბარათები შემორჩა ოჯახს. ამავე წელს, ოთარის დედისთვის, რომელსაც ერთი შვილი უკვე ფრონტზე ჰყავდა დაკარგული, თავზარდამცემი იყო ოთარის გაწვევა საბჭოთა არმიის რიგებში. ოთხი წელი იმსახურა ოთარმა წითელი არმიის რიგებში და შინ გამარჯვებული დაბრუნდა. დიდი სამამულო ომის შემდეგ ბატონმა ოთარმა უმაღლესი სასწავლებელი დაამთავრა, უმწიკვლოდ და კეთილსინდისიერად იმუშავა სხვადასხვა საპასუხისმგებელო თანამდებობებზე, მაგრამ ომის ნაკვალევი ყოველთვის აჩნდა მის ცხოვრებას, 9 მაისის მოსვლას სიხარულით ხვდება, სათუთად გამოიტანს კარადაში შენახულ სამხედრო ფარაჯას, რომელსაც მთავრობის უამრავი ჯილდო ამშვენებს, კიდევ ერთხელ მიესათუთება მას და მიდის თავის ფრონტელ მეგობრებთან, რათა კიდევ ერთხელ მიულოცონ ერთმანეთს გამარჯვების დღე, მოიგონონ ფრონტული წარსული. ჩვენც გილოცავთ ბატონო ოთარ 9 მაისს, ჯანმრთელობასა და წლების სიმრავლეს გისურვებთ, ჩვენ თქვენ გვჭირდებით, როგორც რაიონის და გადახდილი ომის მემატიანე.

# ჟორჟი ბუკია



ბატონი ჟორჟი ბუკია ოთხმოცდათერთმეტი წლისაა, თვლის, რომ ვალმოხდილია ქვეყნისა და საზოგადოების წინაშე. ბიოგრაფია ნამდვილად საამაყო აქვს. შრომითი საქმიანობა ბრიგადირობიდან დაიწყო, შემდეგ იყო მეცხოველეობის ფერმის გამგე,კოლმეურნეობის გამგეობის თავმჯდომარის მოადგილე, საქართველოს კპ ხობის რაიკომის ინსტრუქტორი, ქვალონის მეურნეობის დირექტორი, ნოჯიხევის, პირველი მაისის,ხეთის კოლმეურნეობების თავმჯდომარე, ხოლო 1980 წლიდან საჯიჯაოს კოლმეურნეობის თავმჯდომარე. სადაც კი იმუშავა ბატონმა ჟორჟიმ, ყველგან სიყვარული და პატივისცემა დაიმსახურა. გარდა ამისა, ის ორგანიზაციები სადაც ის მოღვაწეობდა, ყოველთვის მოწინავეთა რიგებში იყო. სწორედ, წარმატებული მუშაობისთვის აქვს მიღებული ბატონ ჟორჟის ლენინის ორდენი, შრომის წითელი დროშის ორდენი, საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელი და ორი მედალი.

–დღეს, შეხედულებები და შეფასებები შეცვლილია,– მესაუბრება ბატონი ჟორჟი– მაგრამ ვისაც რა უნდა ის იფიქროს, ეს ჯილდოები ჩემი სიამაყეა, ჩემი შრომის დაფასება. ყოველთვის ვცდილობდი საქმე ერთგულად მეკეთებინა, დღე და ღამე სამუშაოზე ვათენებდი და ვაღამებდი,მიღწევებიც შესაბამისი მქონდა.

როცა შვილებზე ვეკითხები, თვალები უბრწყინავს, სიამაყით, დეტალურად მიყვება თავის ქალიშვილებზე–დიანასა და შორენაზე, შვილიშვილებზე. გოგა ჯახია, ბოსტონში ცხოვრობს, სწავლობს ჰარვარდის უნივერსიტეტში, ნათია თარჯიმანია „რესპუბლიკა ბანკში, ვიკტორ დიდიშვილი მსხვილი უცხოური კომპანიების იურიდიული განყოფილების გამგეა ხოლო გიორგი დიდიშვილი სასჯელაღსრულებისა და პრობაციის ეროვნული სააგენტოს სპეციალისტი.

როგორც ომის ვეტერანს, უხარია ცხრა მაისი, განსაკუთრებით მადლობელია მთავრობის, რომელმაც ანგარიშზე საკმაოდ მნიშვნელოვანი თანხა ჩაურიცხა, ამბობს რომ ასეთი საჩუქარი ადრე არასდროს მიუღია.

ბატონო ჟორჟი, გილოცავთ ფაშიზმზე გამარჯვების დღეს, გისურვებთ ჯანის სიმრთელეს, მხნეობას და ტკბილ სიბერეს.

**მანანა შულაია.**

ქველმოქმედება



27 აპრილს, ქ. ხობის კულტურის სახლში, ხობის მუნიციპალიტეტის გამგეობისა და საკრებულოს ორგანიზებით, ხობის მე-3 საბავშვო ბაღის აღსაზრდელის, ცერებლარული დამბლით დაავადებული 6 წლის მარიამ ადონიას მხარდამჭერი აქცია-კონცერტი გაიმართა.

კონცერტში, პატარა მარიამის და-

# „ყველაფერი კარგად იქნება“

სახმარებლად თემურ წიკლაური, ვახტანგ ტატიშვილი, ნუგზარ კვაშალი, ბესო კალანდაძე, ნუგზარ ერგემლიძე, ზურაბ კობეშავიძე, მაკა ქაჯაია, ბიძინა მახარაძე მონაწილეობდნენ. კონცერტს მარიამის დასახმარებლად უანგაროდ, საკუთარი ხარჯებით თბილისის ქორეოგრაფიული ანსამბლი „კოლხიდა“ შემოუერთდა, რომლის ქორეოგრაფი და ხელმძღვანელი ხობელი ირაკლი ჩიტაიაა.

ბევრი ითქვა და დაიწერა პატარა მარიამ ადონიაზე, ბავშვზე, რომელმაც მოახერხა ხობელები ერთმანეთის გვერდში კეთილი საქმის გასაკეთებლად დაეყენებინა. ქველმოქმედებას ყვირილი არ უყვარს, არც პოპულიზმი, მაგრამ როცა ქველმოქმედება ბავშვებს ეხება და მათ ჯანმრთელობას, და როცა ამ ქველმოქმედებით შესაძლებელია ცხოვრება გავულამაზოთ პატარას, ყველაფერი უნდა ვიღონოთ.

ხობი, შეიძლება ითქვას, ერთ დაძახილზე გამოვიდა მარიამის დასახმარებლად, აქციაში ბავშვებიც ჩაერთვნენ. თითოეულმა ადამიანმა, რომელმაც მარიამის მდგომარეობა შეიტყო, მის გვერდით დადგა. მაგრამ? მიჭირს ამ მაგრამის თქმა... ვერ გავექცევი, რადგან აღმოჩნდნენ ჩვენს გვერდით ისეთი ადამიანები, რომლებმაც თავიანთი ცრუ ინფორმაციებით გული დაწყვიტეს მარიამის მშობლებს, ახლობლებს და ამ ღონისძიების ორგანიზატორებს. რედაქციაში მარიამის ოჯახის ახლობელი ქალბატონი მანანა ბერაია გვესტუმრა და წერილი მოგვიტანა; თავს უფლებას ვაძლევ და ამ წერილს სრულად გთავაზობთ:

„ადამიანისთვის ყველაზე ძვირფასი სიცოცხლეა. ის მხოლოდ ერთხელ გვეძლევა და ისე უნდა ვიცხოვროთ, რომ განვლილი სიცოცხლე მტანჯველ ტკივილად არ გვექცეს უმიზნოდ განვლილი წლებისთვის. /ნ. ოსტროვსკი/

ეს სიტყვები ეხება ყველას განურჩევლად პიროვნული თვისებებისა, სიცოცხლე ეს არის ბრძოლა არსებობისთვის, ამ ასპარეზზე ჩვენი ნება-სურვილის მიუხედავად გამოვდივართ, რადგან ვიბადებით, უნდა ვიბრძოლოთ კიდეც... ვებრძოლოთ ტკივილს მთელი ძალისხმევით.

არიან ადამიანები, რომლებიც ურთულეს მომენტშიც გამოსავალს პოულობენ. სწორედ მათზეა ნათქვამი „ეძიებდეთ და ჰპოვებდეთ“. ამ ძიებაში მართლაც იპოვა ტკივილიდან გამოსავალი პატარა მარიამ ადონიამ იმ კეთილი ადამიანების თანადგომით, რომელმაც შესაძლოა მარიამის ცხოვრების რიტმი შეცვალოს. ექვსი წელია მარიამის მშობლები მარიამის დამოუკიდებელ პირველ ნაბიჯებს ელოდებიან, დღემდე მარიამს არ მოკლებია ჯანდაცვის, მთავრობის, ახლო-ნათესავებისა და მეზობლების თანადგომა. მარიამს სჭირდებოდა ოპერაციის შემდგომი რეაბილიტაციის კურსები, რომელიც ბოლო დროს ოჯახმა ვერ შეძლო, მარიამის დედას იმედი არასდროს დაუკარგავს. ის ღმერთზე და მარიამზე გამუდმებით ლოცულობდა.

მარიამი ხობის №3 ბაგა-ბაღის აღსაზრდელია, მის მიმართ აღმზრდელები, პატარები და მშობლები განსაკუთრებულ და საოცარ სითბოს იჩენენ, ყველა სადღესასწაულო ღონისძიებაზე მარიამიც ჩართულია... სწორედ ერთ-ერთი ღონისძიება გახდა მისთვის იმედის მომცემი. „დედის დღეს“ დედის ვედრება ღმერთმა შეისმინა, როცა ღონისძიებაზე დასასწრებად ხობის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარე ედიშერ ჯობავა მოვიდა. მის თვალს არ გამოპარვია თეთრ კაბაში საზეიმოდ გამოწყობილი, სპეციალურ სავარძელში მოკალათებული პატარა მარიამი. სწორედ ეს დღე გახდა მარიამის დედისთვის ახალი ბრძოლის დასაწყისი. ნანახით შეწუხებულმა ბატონ ედიშერ ჯობავამ თავისი მოსაზრება ხობის მუნიციპალიტეტის გამგეობის, კულტურის, განათლების, სპორტის, ძეგლთა დაცვისა და ახალგაზრდული სამსახურის უფროსს ქალბატონ როზეტა შულაიას გაუზიარა...

„მე დღეს ვნახე პატარა გოგო, რომელიც ფეხზე ვერ დგება, იქნებ მოვიფიქროთ რამე მის დასახმარებლად“ შემდეგ ქალბატონმა როზეტამ მარიამი მოინახულა... შეკრიბა ის ძალა, რომელმაც ერთსულოვნად გაიზიარა პატარას ტკივილი.

20 წელი კულტურის მუშაკი ვიყავი, მახსოვს გამორჩეული ღონისძიებები და ქველმოქმედება, მაგრამ ხობში ასეთი გრანდიოზული ქველმოქმედება არას-




დროს ჩატარებულა. დიდი მადლობა მინდა გადავუხადო საქართველოს პარლამენტის წევრს, ხობის მაჟორიტარ დეპუტატს ბატონ გორდეძი ბუკიას იმ მხარდაჭერისა და თანადგომისთვის, რომელიც მან პატარა მარიამის მიმართ გამოიჩინა. ბატონი გოდერძის ჩართულობითა და დიდი მხარდაჭერით ჩამოვიდა ანსამბლი „ივერია“-უნიკალური მომღერლები, მან ასევე დააფინანსა კლინიკა „სანში“ მარიამის სარეაბილიტაციო კურსი. უღრმესი მადლობა ხობის მუნიციპალიტეტის გამგეობას, საკრებულოს მარიამის თანადგომისთვის. მინდა სათითაოდ ჩამოვთვალო ის ხობელი თუ არახობელი, რიგითი თუ საჯარო მოხელეები, ბიზნესმენები, საჯარო სკოლები, საბავშვო ბაგა-ბაღები, შსს ხობის სამმართველოს თანამშრომლები, საერო სკოლა „არეას“ პედკოლექტივი და მოსწავლეები, სხვადასხვა დაწესებულების და პოლიტიკური ფრაქციების წარმომადგენლები, თბილისიდან სპეციალურად ჩამოსული ანსამბლი „კოლხიდას“ წევრები-ხობელ ირაკლი ჩიტაიას ხელმძღვანელობით, ხობის კულტურის ცენტრის ხელმძღვანელების, ჩემი თანასოფლელების თანადგომა, იქნებ გამომრჩეს ვინმე, ამიტომ ყველას, ვინც კი მცირედი გაიღო მარიამის დასახმარებლად. მადლობა მათ ამ კეთილი საქმისთვის.

ის შემოწირულობა, რომელიც ყველა ხობელმა და არა ხობელმა გაიღო, მნიშვნელოვნად წაადგება მარიამის ჯანმრთელობას. 30 მაისს მარიამი მიწვეულია თბილისში... ბრძოლის გზა პატარას ჯანმრთელობისთვის გრძელდება...

ქალბატონო როზეტა, ეს თქვენი დამსახურებაა, ღმერთმა მოგცეთ იმის ძალა, რომ ასეთი ქველმოქმედებები ხობში გაგრძელდეს არა მარტო მარიამისთვის, არამედ ყველა იმ ბავშვისთვის, რომლებიც თანადგომას საჭიროებენ. ღრმად ვარ დარწმუნებული, რომ თქვენ ამას შეძლებთ თქვენი მეგობრების თანადგომით, რომლებმაც დიდი წვლილი შეიტანეს ამ აქციაში. მადლობა მათ!“

**P.S. ქალბატონმა მანანამ თავის წერილით სათქმელი უკვე თქვა, არც მადლობა გამორჩენია და არც გვარ-სახელები. მე მხოლოდ ერთს დავამატებდი, ვაკეთოთ ქველმოქმედება არა სახელის მოსახვეჭად, არამედ მადლისათვის... მან სარეაბილიტაციო კურსები კლინიკა „სანში“ უკვე დაიწყო.**

**ვისურვებდი, პატარა მარიამი მალე სრულიად გამოჯანმრთელებული გვენახოს.**

**ღმერთი იყოს მარიამის შემწე და მფარველი.**

*მოამზადა* ***ნინო გერგაიამ***

პროექტი „აწარმოე საქართველოში“

# ათი საწარმო–ერთი ბიზნესმენი

***ბატონო ემზარ, ხშირად ამბობენ, რომ ბიზნესმენებს ჟურნალისტებთან ურთიერთობება არ უყვართ, თქვენ შემთხვევაშიც ასეა?***

–ჩემ შემთხვევაში ცოტა სხვანაირადაა. მიყვარს მათთან ურთიერთობა, მაგრამ არა ყველასთან.

***მგონია, რომ ხობელებისთვის ნაკლებად ცნობადი სახე ბრძანდებით, მინდა, ჩვენი მუნიციპალიტეტის მოსახლეობას წარვუდგინო და ყოველმხრივ გავაცნო თქვენი თავი. ამიტომ ჩემი ინტერვიუ პირობითად ორ ნაწილად გავყავი–თქვენ, როგორც პიროვნება და თქვენ, როგორც ბიზნესმენი.***

***წარმოადგინეთ თქვენი თავი***

–მე გახლავართ ემზარ ბასილაია, დავიბადე ქ. ხობში, 1964 წლის 17 ნოემბერს. დავამთავრე ახალი ხიბულის საშუალო სკოლა, თბილისის სასოფლო-სამეურნეო ინსტიტუტის ჰიდრო-მელიორაციის ფაკულტეტი, ინჟინერ-ჰიდროტექნიკოსის სპეციალობით. მამა–გივი ბასილაია აგრონომია, დედა–ლამარა დანელია დიასახლისი.



მყავს მეუღლე თამარ გოგიჩაიშვილი და ორი შვილი გიორგი და ანანო. გიორგი წელს უმაღლეს სასწავლებელს ამთავრებს, ანანო კი აბიტურიენტია.

***ყველა ჩვენგანს ღირებულებებისა და პრინციპების საკუთარი ნაკრები გვაქვს; თქვენ რა ღირებულებების და პრინციპების მატარებელი ხართ? როგორ ფიქრობთ, რანაირად ყალიბდება ნორმები?***

–თითოეული ადამიანი საკუთარი ეთიკის მიხედვით ცხოვრობს. ჩვენი საკუთარი ეთიკა კი ჩვენივე ღირებულებებისა და პრინციპების საფუძველზე ყალიბდება. ისინი პიროვნების მნიშვნელოვანი ნაწილია და თუ ადამიანს იგი არ გააჩნია, ის ემსგავსება უსაჭო გემს. ჩემთვის ეს ღირებულებებია პატიოსნება, სანდოობა, პასუხისმგებლობის გრძნობა, სამართლიანობა. შემიძლია ვთქვა, რომ ვარ პრინციპული, ვერ ვიტან ტყუილს. ყველა ეს ნორმა ყალიბდება ოჯახში, სკოლაში, საზოგადოებაში.

***როგორი ზეგავლენა იქონია თქვენმა ღირებულებებმა თქვენს საქმიანობაზე, გადაწყვეტილებების მიღებაზე, ცხოვრებაზე? ხშირად იცვლით მეგობრებს, ბიზნესპარტნიორებს?***

–ჩვენ ხშირად გვჭირდება გადაწყვეტილებების მიღება. ზოგჯერ ეს გადაწყვეტილებები ძალიან მარტივია, ზოგჯერ კი რთული. ყოველთვის, როდესაც გასაკეთებელი მაქვს არჩევანი, ვფიქრობ მის რამდენიმე ვარიანტზე. ვაანალიზებ რა შედეგი მოჰყვება თითეული შესაძლებელი ვარიანტის განხორციელებას, ხომ არ დააზარალებს იგი ვინმეს და ხომ არ დააზარალებს იგი ჩემს პირად ღირებულებებს, რეპუტაციას. ჯერჯერობით ჩემი ღირებულებები ჩემს საქმიანობაზე დადებითად მოქმედებს, მყავს ბევრი მეგობარი და ამით თავს ყველაზე მდიდარ ადამიანად ვთვლი. არ მიყვარს მათი ხშირი ცვლა, მეგობარი თუა, მეგობარი უნდა იყოს ბოლომდე. ბიზნესპარტნიორები ბევრი არ მყავს, მაგრამ ვინც მყავს ყველა ნამდვილი და ერთგული მეგობარია.

***ჩვენს შეხვედრაზე თქვენი პირველი წინადადება იყო, რომ გსურთ რაღაცის გაკეთება ხობელებისთვის და ხობისთვის, რა მოტივაცია გაქვთ?***

–ხობი და ხიბულა ჩემი „ოდაბადეა“ უდიდესი სიყვარული გამაჩნია ხობისა და ხობელების მიმართ. ამ რაიონში, კერძოდ ახალხიბულაში გავიზარდე. აქ ჩამოვყალიბდი როგორც პიროვნება, აქ ცხოვრობენ ჩემი ყველაზე ახლობელი ადამიანები, აქ განისვენებენ ჩემი წინაპრები, ამიტომაც თავს ვალდებულადაც ვთვლი, რომ ხობში გავაკეთო საქმე, რომლითაც ხელს შევუწყობ მათი ცხოვრების დონის ამაღლებას.

***როდის დაინტერესდით ბიზნესით, თქვენი პირველი ნაბიჯები ამ სფეროში, მემკვიდრეობით მიიღეთ რამე საბაზისო ქონება, თუ ნულიდან დაიწყეთ ყველაფერი?***

–ყველაფერი ნულიდან დავიწყე. ჩემს საქმიანობაში საკუთარი ოჯახის გარდა არავინ არ დამხმარებია. დედა და მამა მუდმივად ზრუნავდნენ ჩემს აღზრდა-განათლებაზე, ისინი მიწყობდნენ ხელს რათა მომეხდინა საკუთარი თავის რეალიზება. ვსარგებლობ შემთხვევით და მინდა დიდი მადლობა გადავუხადო ჩემს მშობლებს ყოველივე იმისთვის, რაც ჩემთვის გააკეთეს.

რაც შეეხება ბიზნესის კეთებას, იგი თვრამეტი წლის ასაკში დავიწყე. ჩემი პირველი საქმიანობა იყო რკინის საწარმოს გახსნა, შემდეგ ამას მოჰყვა 1995 წელს დიდ ბიზნესში შესვლა- „საოჯახო ლოტო“-ს შექმნა.

***თუ საიდუმლო არ არის, რა ქონებას ფლობთ ამჟამად?***

–დასამალი არაფერი მაქვს, ყველაფერი ჩემი პატიოსანი შრომითა და გარჯით მაქვს შექმნილი. თანხა არ მაქვს, მაგრამ ქონება ალბათ 10-12 მილიონ ლარს შეადგენს.

***როდიდან იწყება თქვენი ბიზნესსაქმიანობა ხობში? რა სახელწოდებისაა თქვენი კომპანია თუ ფირმა?***

–ხობში ჩემი საქმიანობა იწყება რკინის საწარმოს გახსნით სოფელ ახალ-ხიბულაში. სერიოზული ბიზნესი ხობში დავიწყე 2004 წელს. შევქმენი ორი საწარმო შ.პ.ს. „კარიერი“– ინერტული მასალების წარმოება, მეორე კი 2006 წელს შ.პ.ს., „ხიბლი“, ამიერკავკასიაში პირველი მუყაო-თაბაშირის წარმოება, რომელიც რაღაც მიზეზების გამო რვა წელი დაკეტილი იყო. ამ ქარხნის ჩემი კუთვნილი წილი ერთი წლის წინ გავყიდე, მაგრამ თვითონ საწარმო ხობში დარჩა.

2015 წელს შევიძინე შ.პ.ს. „ლევგი“ ბიის ინერტული მასალების საწარმო, რომელიც სულ მალე ამუშავდება. დავიწყე აგრეთვე ახალი თანამედროვე ევროპული დონის საწარმოს მშენებლობა, რომელიც დაახლოებით ერთ თვეში გაიხსნება.

***მინდა გკითხოთ მთავრობის პროექტის „აწარმოე საქართველოში“–შესახებ, რა დახმარება მიიღეთ მისგან?***

–„აწარმოე საქართველოში“ პროგრამით, მთავრობისაგან მივიღე 415 000 ლარის ქონება სიმბოლურ ფასად, ერთ ლარად. სადაც უკვე განვახორციელე 2000000 ლარამდე და მივიღე ინვესტიცია და დაბალპროცენტიანი სესხი 1 მილიონი ლარი, მისი საშუალებით უკვე ვიწყებ მეორე საწარმოს მშენებლობას, რომლის შეფასებაც ჯერ არ შემიძლია. შეიძლება ამ პროგრამის ფარგლებში დავიწყო მესამე პროექტის განხორციელებაც, დრო რომ მოვა, ამას პირველები თქვენ გაიგებთ.

***რა ვალდებულებები ახლავს აღნიშნულ პროექტს თქვენი მხრიდან,***

***როგორია თქვენი ფინანსური გათვლები, რა სარგებელს მოუტანს პროექტის განხორციელება ქვეყანას, ჩვენს მუნიციპალიტეტს?***

–„აწარმოე საქართველოში“ პროგრამას თავისი ფინანსური ვალდებულებების გარდა, ახლავს არაერთი პირობა, მათ შორის ერთ-ერთი ყველაზე მთავარი ხალხის დასაქმებაა და სწორედ ეს არის ჩემი მიზანიც, ვასწავლო, კვალიფიკაცია ავუმაღლო და დავასაქმო მეტი ადამიანი. ვფიქრობ, ქვეყნის დღევანდელი ეკონომიკური მდგომარეობიდან გამოსავალი ასეთი წარმოებების გახსნა და მათში ხალხის დასაქმებაა. ასეთი მიდგომით ჩვენი ქვეყანა წინ წავა, ადამიანები დასაქმდებიან, ბიუჯეტიც შეივსება.

***თქვენთან ძალიან სწრაფი ტემპით მიმდინარეობს მუშაობა, ამაზე მეტყველებს თქვენი წარმოების ფართობის შემოღობვა, შენობა-ნაგებობების უმოკლეს ვადაში აშენება. ვრცლად მინდა გვითხრათ, რას აკეთებთ, რა საწარმოების გახსნას უნდა ველოდოთ?***

–ვაპირებ ხობში 10 საწარმოს შექმნას, რომლის ინვესტიცია (თითოეულის) იქნება არა ნაკლებ 1-დან 2 მილიონ ლარამდე. დღევანდელი მდგომარეობით ჩემს მიერ განხორციელებული და განსახორციელებელი პროექტები ასე გამოიყურება: შ.პ.ს. „კარიერი“-ინერტული მასალების საწარმო–დასაქმებულია 30 კაცი;–შ.პ.ს. „ლევგი“, ასევე ინერტული მასალების საწარმო სოფელ ბიაში, გაიხსნება უახლოეს დროში, დასაქმდება დაახლოებით 20-25 კაცი; შ.პ.ს. „ფიგარო“–გაიხსნება მაისის ბოლოს, ეს არის ახალი წარმოება, რომელიც რეკორდულ დროში, 85 დღეში აშენდა, იგი გამოუშვებს პლასტმასის ყუთებს, წებოცემენტს, ფერად ფილებს ტროტუარებისთვის, საამშენებლო ბლოკებს, სანიაღვრე არხების მოწყობილობებს; ამჯერად დასაქმებულია 50 კაცი, დასაქმებულთა რაოდენობა გაიზრდება, აღსანიშნავია, რომ ზემოთ ჩამოთვლილი პროდუქციის მისაღებად გამოყენებული იქნება ორი სახის ნედლეული–პირველი-ქალაქ რუსთავის აზოტის ქარხნიდან შემოტანილი და მეორე დავიწყებთ მეორადი პლასტმასების მიღებას, ამით ჩვენც ვისარგებლებთ და გარემოს დაცვასაც შევუწყობთ ხელს. რამდენიმე დღეში დავიწყებთ კიდევ ერთი პლასტმასების გადამუშავებისა და ყველა ტიპის საოჯახო-საყოფაცხოვრებო ნივთების საწარმოს მშენებლობას, ასე, რომ ხობი ძალიან მალე გახდება „წარმოების ქალაქი“.



გარდა ამისა, მიმდინარეობს, ქალაქ ასტრახანში, ბიზნეს პარტნიორებთან მოლაპარაკება, რომელიც დასრულების ფაზაშია, მისი დადებითად გადაწყვეტის შემთხვევაში, ვგეგმავთ ტბორის გაკეთებას და ზუთხის მოშენებას, შემდეგ კი შავი ხიზილალას წარმოებას. მაქვს ერთი სიურპრიზი ხობელებისთვისმალე ჩავუყრით საფუძველს ხობის ცენტრში ყველაზე მაღალ და ყველაზე ლამაზ შენობას, რომლის დანიშნულებასაც ჯერჯერობით არ გავამხელ.

***რამდენი ადამიანია დღეს დასაქმებული, როგორია მათი საშუალო ანაზღაურება თვეში?***

–დღეის მდგომარეობით დასაქმებულია 80 ადამიანი. მათი მინიმალური ანაზღაურება არის თვეში



500 ლარი, მაქსიმალური კი 1600 ლარი.

***რამდენი ადამიანის დასაქმება იგეგმება საწარმოების სრულად ამუშავების შემთხვევაში?***

–თითო საწარმოში დაახლოებით, 50–50 ადამიანი იქნება დასაქმებული.

***რა ტექნიკას ფლობთ დღეისთვის, შემოგაქვთ თუ არა თანამედროვე დონის ტექნიკური მოწყობილობები?***

–ვფლობ საკმაო რაოდენობით თანამედროვე ტექნიკას, ვაპირებ მისი რაოდენობის გაზრდას.

***გათვალისწინებული გაქვთ თუ არა ეკოლოგიური პრობლემები, კერძოდ:***

–ჩვენ მიერ განხორციელებულ და განსახორციელებელ პროექტებში, ყოველთვის გათვალისწინებული გვაქვს ეკოლოგიური საკითხები. არ ვაპირებთ გარემოს დაბინძურებას ნარჩენებით, პირიქით, ვაპირებთ ჩვენი საწარმოს ტერიტორიის გამწვანებას, მის გასუფთავებას, სუფთა პროდუქციის გამოშვებას. ჩამოვედი ხობში, რათა ხელი შევუწყო ეკონომიკის განვითარებას, ხალხის დასაქმებას და ეკოლოგიური პრობლემების მოგვარებას.

***პირადად ვიცი, თქვენი დამოკიდებულება თქვენთან დასაქმებულ ადამიანებთან, თქვენ მათ უყვარხართ და პატივს გცემენ, რა კრიტერიუმებით არჩევთ მათ, რა მოთხოვნები და ვალდებულებები გაქვთ მათ მიმართ? ამჟამად გაქვთ თუ არა „მუშათა“ დეფიციტი, რა სპეციალობის ხალხი გჭირდებათ?***

–ჩემს ყველა თანამშრომელს უდიდეს პატივს ვცემ, ისინი ჩემი ოჯახის წევრებად მიმაჩნია. სამუშაოზე მიღებისას ვითვალისწინებ მათ პროფესიონალიზმს, საქმისადმი სიყვარულსა და ერთგულებას, ვაფასებ მათ შრომისმოყვარეობას და პასუხისმგებლობას ვერ ვიტან სამუშაო პროცესში დილეტანტებს. მირჩევნია მათ აკეთონ საქმე სიყვარულით და არა ვალდებულების მიზნით. ჩემდათავად, მეც ჭირსა თუ ლხინში მათ გვერდით ვდგავარ. მათთან ერთად ვიზიარებ მათ წუხილსა თუ სიხარულს. ვიცი, რომ დღეს ბევრს უჭირს, ამიტომაც ჩვენთან მუშა-მოსამსახურეებს დროულად, ყოველი თვის 1-დან 5 რიცხვამდე ურიგდებათ ხელფასები. ეს ტრადიცია ათეული წლებია გრძელდება, რაც არ უნდა რთული სიტუაცია მქონდეს, ჯამაგირს ყოველთვის დროზე გავცემ, რადგან თითოეული ადამიანის უკან ოჯახი დგას, რომელიც თავის ბიუჯეტს ამის მიხედვით გეგმავს.

***როგორც ვიცი თქვენ ქველმოქმედიც ხართ, მართალია, რასაც ლაპარაკობენ, რომ თურმე თქვენთან მომუშავე ადამიანებს ქორწინების შემთხვევაში მანქანას ჩუქნით? არის თუ არა თქვენი სახელი სოფელ ახალ-ხიბულაში, კერძოდ გაშფერდის უბანში ტაძრის მშენებლობასთან დაკავშირებული?***

–არ ვიცი რა არის ქველმოქმედება, როცა საშუალება მაქვს, ვეხმარები იმას, ვისაც უჭირს. რაც შეეხება მანქანების ჩუქებას, სწორია, მაგრამ ყოველთვის არა. ჩემს ცხოვრებაში ალბათ 14-15 მანქანა მექნება გაჩუქებული. ხოლო, რაც შეეხება ახალ ხიბულაში, კერძოდ გაშფერდის უბანში, ტაძრის მშენებლობას, აუცილებლად ავაშენებ. უკვე, ჩემს წარმოებაში დაწყებულია მისი მშენებლობისთვის წინასწარი მოსამზადებელი სამუშაოები.

***თქვენი მომავალი გეგმები.***

–ჩემი გეგმები და მიზნები უკავშირდება ხობის მუნციპალიტეტს. ხობი უნდა ვაქციოთ „წარმოების“ ქალაქად, ალბათ ერთ კვირაში ნახავთ რეკლამებს ჩემი წარმოების მიმდებარედ და თავად დარწმუნდებით ბევრ რამეში.

***შეკითხვა, რომელიც ვერ დაგისვით, რისი თქმა გსურთ!***

–კითხვა რომელიც არ დამისვით ეხება ჩემს დას ნანი ბასილაიას, რომელმაც ჩემს საქმიანობაში და წარმატებებში დიდი წვლილი შეიტანა. ყოველთვის ყოველ საქმეში ვგრძნობ მისი მხრიდან მხარში „უჩინრად“ ამოდგომას, რომელიც მაძლიერებს და ახალი ძალით მავსებს, მადლობა მას ამისთვის.

და ბოლოს, ვისურვებდი ჩვენი ქვეყნის გამთლიანებას, მის ეკონომიკურ სიძლიერეს, ხალხის ყოფაცხოვრების დონის გაუმჯობესებას.

გაზეთ „ხობის მოამბეს“ წარმატებებს ვუსურვებ.

***ესაუბრა მანანა შულაია.***

დოკუმენტი

# ხობის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილება №13

## 2015 წლის 30 აპრილი, ქ.ხობი

**„ხობის მუნიციპალიტეტის საკრებულოს და გამგეობის თანამდებობის პირთა და საკრებულოს აპარატის და გამგეობის მოსამსახურეთა თანამდებობრივი სარგოების ოდენობების განსაზღვრის შესახებ” ხობის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2014 წლის 22 აგვისტოს №32 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე**

„ნორმატიული აქტების შესახებ” საქართველოს კანონის მე-20 მუხლის შესაბამისად, ხობის მუნიციპალიტეტის საკრებულო **ადგენს:**

**მუხლი 1.**

„ხობის მუნიციპალიტეტის საკრებულოს და გამგეობის თანამდებობის პირთა და საკრებულოს აპარატის და გამგეობის მოსამსახურეთა თანამდებობრივი სარგოების ოდენობების განსაზღვრის შესახებ“ ხობის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2014 წლის 22 აგვისტოს N32 დადგენილებაში (www.matsne.gov.ge), 29/.08/.2014წ, სარეგისტრაციო კოდი: 010250020.35.106.016131) შეტანილ იქნეს ცვლილება და დადგენილებით დამტკიცებულ დანართში, კერძოდ:

ა) გამგებლის პირველი მოადგილის თანამდებობრივი სარგოს ოდენობა განისაზღვროს 1500 ლარით;

ბ) გამგებლის მოადგილის თანამდებობრივი სარგოს ოდენობა განისაზღვროს 1400 ლარით;

გ) გამგეობის სამსახურის უფროსის თანამდებობრივი სარგოს ოდენობა განისაზღვროს 1100 ლარით;

დ) საკრებულოს აპარატის უფროსის თანამდებობრივი სარგოს ოდენობა განისაზღვროს 1100 ლარით;

ე) მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციულ ერთეულში გამგებლის წარმომადგენლის თანამდებობრივი სარგოს ოდენობა განისაზღვროს 870 ლარით;

ვ) გამგეობის სამსახურის განყოფილების უფროსის თანამდებობრივი სარგოს ოდენობა განისაზღვროს 850 ლარით;

ზ) საკრებულოს აპარატის განყოფილების უფროსის თანამდებობრივი სარგოს ოდენობა განისაზღვროს 850 ლარით;

თ) გამგებლის თანაშემწის თანამდებობრივი სარგოს ოდენობა განისაზღვროს 820 ლარით;

ი) საკრებულოს თავმჯდომარის თანაშემწის თანამდებობრივი სარგოს ოდენობა განისაზღვროს 820 ლარით;

კ) მთავარი სპეციალისტის თანამდებობრივი სარგოს ოდენობა განისაზღვროს 620 ლარით;

ლ) წამყვანი სპეციალისტის თანამდებობრივი სარგოს ოდენობა განისაზღვროს 570 ლარით;

მ) უფროსი სპეციალისტის თანამდებობრივი სარგოს ოდენობა განისაზღვროს 540 ლარით;

ნ) სპეციალისტის თანამდებობრივი სარგოს ოდენობა განისაზღვროს 510 ლარით.

**მუხლი 2.**

დადგენილება ამოქმედდეს 2015 წლის 1 მაისიდან.

**ედიშერ ჯობავა,**
***საკრებულოს თავმჯდომარე.***

# ხობის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილება №15

## 2015 წლის 30 აპრილი, ქ.ხობი

**ხობის მუნიციპალიტეტის ადგილობრივი ბიუჯეტით გამოყოფილი ასიგნებების გადანაწილების წესის დამტკიცების შესახებ**

საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი“ 54-ე მუხლის 1-ლი პუნქტის „გ.გ“ ქვეპუნქტის, საქართველოს კანონის „საქართველოს საბიუჯეტო კოდექსი“ 69-ე მუხლის მე-6 ნაწილის და „ნორმატიული აქტების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-20 მუხლის და 25-ე მუხლის 1-ლი პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტის შესაბამისად, ხობის მუნიციპალიტეტის საკრებულო **ადგენს:**

**მუხლი 1.**

დამტკიცდეს „ხობის მუნიციპალიტეტის ადგილობრივი ბიუჯეტით გამოყოფილი ასიგნებების გადანაწილების წესი“ (დანართი №1).

**მუხლი 2.**

დამტკიცდეს „ხარჯთაღრიცხვის ცვლილების ცნობა“ (დანართი №2).

**მუხლი 3.**

ძალადაკარგულად გამოცხადდეს „ხობის მუნიციპალიტეტის ადგილობრივი ბიუჯეტით გამოყოფილი ასიგნებების გადანაწილების წესის დამტკიცების შესახებ“ ხობის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2010 წლის 12 ივლისის №5 დადგენილება.

**მუხლი 4.**

დადგენილება ამოქმედდეს გამოქვეყნებისთანავე.

**ედიშერ ჯობავა,**
***საკრებულოს თავმჯდომარე.***

---

**დანართი №1**

**ხობის მუნიციპალიტეტის ადგილობრივი ბიუჯეტით გამოყოფილი ასიგნებების გადანაწილების წესი**

**მუხლი 1. ზოგადი დებულებები**

1. ხობის მუნიციპალიტეტის ადგილობრივი ბიუჯეტით გამოყოფილი ასიგნებების გადანაწილების წესი (შემდგომში-„წესი“) შემუშავებულია საქართველოს კანონის „საქართველოს საბიუჯეტო კოდექსი” და „ავტონომიური რესპუბლიკის რესპუბლიკური და ადგილობრივი თვითმმართველი ერთეულის ბიუჯეტით გამოყოფილი ასიგნების გადანაწილების წესის დამტკიცების შესახებ“ საქართველოს ფინანსთა მინისტრის 2008 წლის 27 მაისის №56 ბრძანების საფუძველზე.

2. ეს წესი განსაზღვრავს ხობის მუნიციპალიტეტის ადგილობრივი ბიუჯეტის (შემდგომში–„ადგილობრივი ბიუჯეტი“) დაფინანსებაზე მყოფი მხარჯავი სუბიექტებისთვის (შემდგომში - „მხარჯავი სუბიექტი“) ადგილობრივი ბიუჯეტით გამოყოფილი ასიგნებების გადანაწილების მექანიზმს.

**მუხლი 2. ადგილობრივი ბიუჯეტით გამოყოფილი ასიგნებების გადანაწილების ძირითადი პრინციპები**

1. ადგილობრივი ბიუჯეტით გამოყოფილი ასიგნებების გადანაწილება შესაძლებელია განხორციელდეს როგორც ერთი პრიორიტეტის ფარგლებში პროგრამებს, ქვეპროგრამებსა და საბიუჯეტო კლასიფიკაციის მუხლებსა და კოდებს შორის, აგრეთვე, ერთი პრიორიტეტიდან სხვა პრიორიტეტზე.

2. ერთი პრიორიტეტიდან სხვა პრიორიტეტზე (პრიორიტეტებზე) ადგილობრივი ბიუჯეტით დამტკიცებული ასიგნებების გადანაწილება შეიძლება განხორციელდეს მხოლოდ დამტკიცებულ წლიურ ბიუჯეტში ცვლილების შეტანის გზით, ხობის მუნიციპალიტეტის საკრებულოს (შემდგომში - „საკრებულო”) დადგენილებით.

3. ერთი პრიორიტეტის ფარგლებში ასიგნებების პროგრამებს, ქვეპროგრამებსა ან/და საბიუჯეტო კლასიფიკაციის მუხლებსა და კოდებს შორის თანხების გადანაწილება შეიძლება განხორციელდეს ხობის მუნიციპალიტეტის გამგებლის (შემდგომში - „გამგებელი“) ბრძანებით.

4. ერთი პრიორიტეტის ფარგლებში პროგრამებს შორის თანხების გადანაწილება (გარდა ადგილობრივი ბიუჯეტის სარეზერვო ფონდის და წინა წლებში წარმოქმნილი დავალიანებების დაფარვისა და სასამართლო გადაწყვეტილებების აღსრულების ფონდის თანხებისა) არ უნდა აღემატებოდეს ამ პრიორიტეტისთვის წლიური ბიუჯეტით დამტკიცებული გადასახდელების 5%-ს.

5. შესაბამისი სამართლებრივი აქტისა და მხარჯავი სუბიექტების მიერ წარმოდგენილი წინადადებების საფუძველზე გამგებელი უფლებამოსილია განახორციელოს ცვლილებები (პროგრამის/ქვეპროგრამის დამატება, პროგრამის/ქვეპროგრამის დასახელების შეცვლა) პროგრამულ კლასიფიკაციაში.

6. გამგებელი უფლებამოსილია, შესაბამისი სამართლებრივი აქტის საფუძველზე, საქართველოს სახელმწიფო ბიუჯეტით გათვალისწინებული საერთო-სახელმწიფოებრივი მნიშვნელობის გადასახდელებიდან მუნიციპალიტეტისთვის გამოყოფილი თანხების ადგილობრივ ბიუჯეტში ასახვის მიზნით, განახორციელოს ცვლილებები (მათ შორის, პროგრამული კოდის, ან პროგრამის დამატება) ბიუჯეტით დამტკიცებულ შემოსულობებსა და გადასახდელებში. ამ შემთხვევაში გამოიყენება ამ წესის მე-4 მუხლით დადგენილი წესი.

7. დასაგეგმი საბიუჯეტო წლის დაწყებამდე ადგილობრივი ბიუჯეტის დაუმტკიცებლობის შემთხვევაში, ან ადგილობრივი ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ საკრებულოს შესაბამისი დადგენილების ამოქმედებამდე, გამგებელი საკრებულოსთან შეთანხმებით უფლებამოსილია ასიგნებების გადანაწილება განახორციელოს ამ წესით განსაზღვრული მექანიზმის შესაბამისად.

8. საკრებულოს მიერ დამტკიცებული ადგილობრივი ბიუჯეტის გამოქვეყნებიდან 15 დღის ვადაში წლიური საბიუჯეტო ასიგნებების კვარტალური განწერა დგება ხობის მუნიციპალიტეტის გამგეობის (შემდგომში –„გამგეობა“) საფინანსო-საბიუჯეტო სამსახურის მიერ და საკრებულოსთან შეთანხმების შემდგომ მტკიცდება გამგებლის ბრძანებით.

9. ადგილობრივი ბიუჯეტის კვარტალურ განწერაში შეიძლება განხორციელდეს კვარტალური გადანაწილება გამგეობის საფინანსო-საბიუჯეტო სამსახურის მიერ ამ წესით დადგენილი პროცედურებით და მტკიცდება გამგებლის ბრძანებით.

**მუხლი 3. ადგილობრივი ბიუჯეტით დამტკიცებული ასიგნებების გადანაწილების მოთხოვნის წარდგენა, განხილვა და შესრულება**

1. მოთხოვნა მხარჯავი სუბიექტებისთვის წლიური ადგილობრივი ბიუჯეტით დამტკიცებულ ასიგნებათა გადანაწილების თაობაზე წერილობითი სახით წარედგინება გამგებელს იმ მხარჯავი სუბიექტის ხელმძღვანელის ხელმოწერით, რომლისთვისაც არის მიკუთვნებული ეს გადასახდელები. ადგილობრივი ბიუჯეტით გამგეობისთვის გამოყოფილ ასიგნებათა გადანაწილების საჭიროების შემთხვევაში, მოთხოვნას წერილობითი ფორმით წარადგენს გამგეობის იმ სტრუქტურული ერთეულის ხელმძღვანელი, რომლის კომპეტენციასაც მიეკუთვნება შესაბამისი ხარჯების გაწევისთვის წინადადებების მომზადება.

2. საბიუჯეტო წლის განმავლობაში ადგილობრივი ბიუჯეტით დამტკიცებული ასიგნებების ეფექტურად ხარჯვის მიზნით, მხარჯავი სუბიექტების მიერ წარდგენილ მოთხოვნაში მოყვანილი უნდა იქნეს სათანადო არგუმენტაცია ასიგნებების გადანაწილების აუცილებლობაზე, ასევე - შესაბამისი დასაბუთება ასიგნებების გადანაწილებისა და მასზე ვალდებულების აღების არარსებობის თაობაზე.

3. ამ მუხლის პირველი პუნქტით გათვალისწინებულმა მხარჯავმა სუბიექტმა, ასიგნებების გადანაწილების შესახებ წარდგენილ მოთხოვნასთან დაკავშირებით გამგებლისგან პასუხის მიღებამდე, გამგეობის საფინანსო-საბიუჯეტო სამსახურში არ უნდა წარადგინოს ვალდებულების დოკუმენტი იმ ასიგნებებზე, რომელთა გადანაწილებაზე არსებობს მოთხოვნა.

4. წარმოდგენილ წერილობით მოთხოვნას განიხილავს გამგეობის საფინანსო-საბიუჯეტო სამსახური და არაუგვიანეს სამი სამუშაო დღისა გამგებელს წარუდგენს შესაბამის წინადადებებს (მოხსენებითი ბარათი) ასიგნებების გადანაწილების თაობაზე.

5. ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოების მიერ დაფუძნებული იურიდიული პირების მხრიდან ასიგნებების გადანაწილების შესახებ მოთხოვნის წარდგენის შემთხვევაში, ამ მუხლის მე-4 პუნქტით გათვალისწინებული წინადადების მომზადებამდე, ასიგნებების გადანაწილების მიზანშეწონილობის დადგენის მიზნით მოთხოვნას წინასწარ განიხილავს გამგეობის შესაბამისი სამსახური (სამსახურები) და საფინანსო-საბიუჯეტო სამსახურს წარედგინება დადებითი, ან უარყოფითი მოსაზრება ასიგნებების გადანაწილების თაობაზე.

6. ასიგნებების გადანაწილების მიზანშეწონილად ჩათვლის შემთხვევაში, გამგეობის საფინანსო-საბიუჯეტო სამსახური ამზადებს გამგებლის ბრძანების პროექტს მხარჯავი სუბიექტებისთვის ბიუჯეტით გამოყოფილი წლიური ასიგნებების ან/და პრიორიტეტის ფარგლებში თანხის პროგრამებს, ქვეპროგრამებს ან/და საბიუჯეტო კლასიფიკაციის მუხლებს შორის გადანაწილების თაობაზე.

7. გამგებლის ბრძანების გამოცემის შემდგომ, დამტკიცებული ბიუჯეტის დაზუსტების მიზნით, გამგეობის საფინანსო-საბიუჯეტო სამსახური ატარებს სათანადო ცვლილებას ამ მუხლის მე-8 პუნქტის შესაბამისად.

8. ერთი პრიორიტეტის ფარგლებში ადგილობრივი ბიუჯეტით გამოყოფილ ასიგნებათა პროგრამებს, ქვეპროგრამებსა ან/და საბიუჯეტო კლასიფიკაციის მუხლებს შორის გადანაწილების შემთხვევაში, წლიური ადგილობრივი ბიუჯეტით დამტკიცებული ასიგნებები ზუსტდება საკრებულოს მიერ დამტკიცებული „ხარჯთაღრიცხვის ცვლილების ცნობით“ (დანართი 2). ცვლილების ცნობა დგება ორ ეგზემპლარად, რომლის პირველი ეგზემპლარი რჩება გამგეობის საფინანსო-საბიუჯეტო სამსახურს, ხოლო მეორე ეგზემპლარი ეგზავნება შესაბამის მხარჯავ სუბიექტს.

9

9. იმ შემთხვევაში, თუ ადგილობრივი ბიუჯეტის სარეზერვო ფონდიდან და წინა წლებში წარმოქმნილი დავალიანებების დაფარვისა და სასამართლო გადაწყვეტილებების აღსრულების ფონდიდან საბიუჯეტო სახსრები გამოიყო რომელიმე მხარჯავი სუბიექტების დამატებით დასაფინანსებლად, შესაბამისი თანხით მცირდება ადგილობრივი ბიუჯეტის სარეზერვო ფონდის ან/და წინა წლებში წარმოქმნილი დავალიანებების დაფარვისა და სასამართლო გადაწყვეტილებების აღსრულების ფონდის მოცულობა და იზრდება წლიური ბიუჯეტით გათვალისწინებული გასაცემლები.

10. ამ მუხლის მე-9 პუნქტის შემთხვევაში, გეგმის ცვლილების ცნობის საფუძველზე მხარჯავი სუბიექტის დაფინანსების წლიური გეგმის დაზუსტება და ასიგნებების გაცემა ხორციელდება ამ მუხლის მე-8 პუნქტის შესაბამისად.

**მუხლი 4. საქართველოს სახელმწიფო ბიუჯეტიდან მუნიციპალიტეტისთვის გამოყოფილი თანხების ადგილობრივ ბიუჯეტში ასახვა**

1. საქართველოს სახელმწიფო ბიუჯეტით გათვალისწინებული საერთო-სახელმწიფოებრივი გადასახდელებიდან ხობის მუნიციპალიტეტისთვის თანხის გამოყოფის შესახებ შესაბამისი სამართლებრივი აქტის საფუძველზე, გამგეობის საფინანსო-საბიუჯეტო სამსახური ამზადებს საკრებულოს დადგენილების ან გამგებლის ბრძანების პროექტს ამ თანხის ადგილობრივი ბიუჯეტის შემოსულობებსა და გადასახდელებში ასახვის მიზნით.

2. ამ მუხლის პირველი პუნქტის შესაბამისად გამგებლის ბრძანების გამოცემის შემთხვევაში, გამგეობის საფინანსო-საბიუჯეტო სამსახური ატარებს შესაბამის ცვლილებებს ადგილობრივი ბიუჯეტის ორგანიზაციულ კლასიფიკაციაში და გამგებლის მიერ დამტკიცებულ განწერაში ამ წესის მე-3 მუხლის მე-8 პუნქტით განსაზღვრული პროცედურით.

**მუხლი 5. გამგებლის ანგარიშვალდებულება ადგილობრივი ბიუჯეტით გამოყოფილი ასიგნებების გადანაწილებისას**

1. ადგილობრივი ბიუჯეტის დამტკიცებიდან 2 თვის ვადაში საკრებულოს წარედგინება გამგებლის ბრძანებით დამტკიცებული ბიუჯეტის კვარტალური განწერა.

2. გამგებლის ბრძანებით ადგილობრივ ბიუჯეტში განხორციელებული ცვლილებები დამტკიცებულ ბიუჯეტში ასახვის მიზნით ერთი თვის ვადაში, მაგრამ არაუგვიანეს საბიუჯეტო წლის დასასრულისა უნდა წარედგინოს საკრებულოს დასამტკიცებლად საკრებულოს დადგენილების პროექტის სახით.

3. ადგილობრივი ბიუჯეტით გამოყოფილი ასიგნებების გადანაწილების შემთხვევაში, გამგებელი უფლებამოსილია განახორციელოს ადგილობრივი ბიუჯეტით გამოყოფილი ასიგნებების გადანაწილების შედეგად გათვალისწინებული ღონისძიებების დაფინანსება და ვალდებულია, ერთი თვის ვადაში ადგილობრივ ბიუჯეტში შესატან ცვლილებათა პროქტთან ერთად საკრებულოში წარადგინოს პროექტი ადგილობრივი შესყიდვების გეგმაში ცვლილებების შეტანის თაობაზე.

4. ადგილობრივი ბიუჯეტით გამოყოფილი ასიგნებების გადანაწილების შემთხვევაში, შესაბამისი მონაცემები უნდა იქნეს ასახული ადგილობრივი ბიუჯეტის შესრულებისა და გამგებლის ანგარიშებში.

**დანართი №2**

**ხობის მუნიციპალიტეტის გამგეობის საფინანსო-საბიუჯეტო სამსახური**

**ხარჯთაღრიცხვის ცვლილების ცნობა №---**

20__ წლის __ ________

________________________

მხარჯავი სუბიექტის დასახელება, ორგანიზაციული კოდი

________________________________

ცვლილების საფუძველი (გამგებლის ბრძანება), თარიღი, ნომერი

________________________________

(ცვლილების შინაარსი)

| ორგანიზაციული კოდი | მხარჯავი სუბიექტის პროგრამისა და ღონისძიების დასახელება | საბიუჯეტო კლასიფიკაციის მუხლის დასახელებ | ცვლილება (+ზრდა/-კლება) (ლარებში) | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| | | | წლიური თანხა | მათ შორის: კვარტალების მიხედვით | | |
| | | | I | II | III | IV |
| | | | | | | |
| | სულ ჯამი | | | | | |

1. დამტკიცებული ადგილობრივი ბიუჯეტით გათვალისწინებული ასიგნება.
2. ადგილობრივი ბიუჯეტის სარეზერვო ფონდი.
3. წინა პერიოდში წარმოქმნილი ვალდებულების დაფარვა.
4. დანარჩენი ცვლილება.

გამგეობის საფინანსო-საბიუჯეტო სამსახურის უფროსი

-----------------------------------------

(ხელმოწერა)

გამგეობის საფინანსო-საბიუჯეტო სამსახურის საბიუჯეტო განყოფილების უფროსი

-----------------------------------------

(ხელმოწერა)



# ხობის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილება №16

## 2015 წლის 30 აპრილი, ქ.ხობი

**„ხობის მუნიციპალიტეტის ადგილობრივი თვითმმართველობის საჯარო თანამდებობათა დასაკავებელი კონკურსისა და ადგილობრივი თვითმმართველობის მოხელეთა ატესტაციის ჩატარების და საკონკურსო-საატესტაციო მუდმივმოქმედი კომისიის საქმიანობის წესის დამტკიცების თაობაზე“ ხობის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2014 წლის 21 ნოემბრის №38 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე**

„ნორმატიული აქტების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-20 მუხლის შესაბამისად, ხობის მუნიციპალიტეტის საკრებულო **ადგენს:**

**მუხლი 1.**

„ხობის მუნიციპალიტეტის ადგილობრივი თვითმმართველობის საჯარო თანამდებობათა დასაკავებელი კონკურსისა და ადგილობრივი თვითმმართველობის მოხელეთა ატესტაციის ჩატარების და საკონკურსო-საატესტაციო მუდმივმოქმედი კომისიის საქმიანობის წესის დამტკიცების თაობაზე“ ხობის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2014 წლის 21 ნოემბრის №8 დადგენილებაში (www.matsne.gov.ge), 27/11/2014წ., სარეგისტრაციო კოდი: 010250020.35.106.016137) შეტანილ იქნეს შემდეგი ცვლილება:

ა) დადგენილების პირველი მუხლი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

**„მუხლი 1.**

დამტკიცდეს „ხობის მუნიციპალიტეტის ადგილობრივი თვითმმართველობის საჯარო თანამდებობათა დასაკავებელი კონკურსისა და ადგილობრივი თვითმმართველობის მოხელეთა ატესტაციის ჩატარების და საკონკურსო-საატესტაციო მუდმივმოქმედი კომისიის საქმიანობის წესი“ (დანართი №1)“.

ბ) დადგენილებას დაემატოს შემდეგი შინაარსის $1^1$-$1^2$ მუხლები:

**„მუხლი $1^1$.**

დამტკიცდეს ხობის მუნიციპალიტეტის ადგილობრივი თვითმმართველობის მოხელის სამსახურებრივი დახასიათების ფორმა (დანართი №2).

**მუხლი $1^2$.**

დამტკიცდეს ხობის მუნიციპალიტეტის ადგილობრივი თვითმმართველობის მოხელის საატესტაციო ფურცლის ფორმა (დანართი №3)“.

დ) დადგენილებით დამტკიცებული წესის 26-ე მუხლის მე-2 პუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„2. ატესტაციის პროცესის დაწყებამდე ერთი კვირით ადრე, ატესტაციას დაქვემდებარებული მოხელის უშუალო ხელმძღვანელი ამ მუხლის მე-4 პუნქტით განსაზღვრული შესაბამისი სტრუქტურული ერთეულის ხელმძღვანელს წარუდგენს ატესტაციას დაქვემდებარებული მოხელის დახასიათებას საკრებულოს მიერ დამტკიცებული ფორმის მიხედვით. წინასწარ განსაზღვრულ ფორმას, ავსებს და იმავე სტრუქტურულ ერთეულში წარადგენს ატესტაციას დაქვემდებარებული მოხელეც“.

ე) დადგენილებით დამტკიცებული წესის 29-ე მუხლის მე-2 პუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„2. ატესტაციის შედეგები შეტანილ უნდა იქნეს საკრებულოს მიერ წინასწარ დადგენილ საატესტაციო ფურცელში, რომელსაც ხელს აწერენ კომისიის თავმჯდომარე და წევრები. საატესტაციო ფურცელი ივსება ერთ ეგზემპლარად და დახასიათებასთან ერთად თან ერთვის მოხელის პირად საქმეს“.

ვ) დადგენილების დანართი ჩამო№ალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„დანართი №1“.

ზ) დადგენილებას დაემატოს დანართი №2 და დანართი №3 და ჩამოყალიბდეს თანდართული რედაქციით.

**მუხლი 2.**

დადგენილება ამოქმედდეს გამოქვეყნებისთანავე.

**ედიშერ ჯობაავა,**
***საკრებულოს თავმჯდომარე.***

**„დანართი №2**

**ხობის მუნიციპალიტეტის ადგილობრივი თვითმმართველობის მოხელის სამსახურებრივი დახასიათება**

**1. პირადი მონაცემები:**

1. სახელი, გვარი ________________________
2. თანამდებობა____________________
__________________________________
3. სტრუქტურული ერთეულის დასახელება ____________________
__________________________
4. სტრუქტურული ერთეულის ქვედანაყოფის დასახელება______
__________________________
5. თანამდებობრივი რანგი ________
__________________________
6. საკლასო ჩინი _____________
__________________________
7. ამ თანამდებობაზე მუშაობის სტაჟი __________________________
8. საჯარო სამსახურში მუშაობის საერთო სტაჟი ________________

**2. მოხელის სამუშაოთა აღწერილობა (სამსახურებრივ მოვალეობათა ჩამონათვალი):**

1. ________________________
2. ________________________
3. ________________________
4. ________________________
5. ________________________

**3. მოხელის პროფესიული ცოდნა და ზოგადი უნარები** (ივსება მხოლოდ უშუალო ხელმძღვანელის მიერ):

შეფასება ხდება ხუთქულიანი სისტემით:

1 ქულა – დაბალი (მინიმალურ დონეზეც კი ვერ აკმაყოფილებს შეფასების კრიტერიუმს)

2 ქულა – საშუალოზე დაბალი (მინიმალურად აკმაყოფილებს შეფასების კრიტერიუმს)

3 ქულა – საშუალო (დამაკმაყოფილებელი დონით პასუხობს შეფასების კრიტერიუმს)

4 ქულა – საშუალოზე მაღალი (საშუალოზე მაღალი დონით

| № | პროფესიული ცოდნა | ქულა | კომენტარი |
|---|---|---|---|
| 1 | სპეციალობიდან გამომდინარე ნორმატიული აქტების ცოდნა (კანონები, დებულებები, ინსტრუქციები) | | |
| 2 | საქმიანობის სფეროს/დარგის ცოდნა | | |
| 3 | ცოდნის საქმიანობაში გამოყენების უნარი | | |
| 4 | **საკუთარი ფუნქცია-მოვალეობების გაცნობიერება** | | |
| | **სულ** | | |
| | **ზოგადი უნარები** | | |
| ინფორმაციის გამოყენება | უმცროსი საჯარო თანამდებობის პირთათვის - ინსტრუქციათა შესაბამისად მიღებულ ინფორმაციაზე მუშაობის შესაძლებლობის დონე | | |
| | უფროსი თანამდებობის პირთათვის - ინფორმაციის საჭიროების განსაზღვრა,მათი ანალიზის და თანამდებობიდან გამომდინარე დაკისრებულ ამოცანათა გადაწყვეტის უნარი | | |
| | წამყვანი თანამდებობის პირთათვის - ინფორმაციის სისტემატიზების, ანალიზისა და პროგნოზირების უნარი, თანამდებობიდან გამომდინარე ამოცანათა განსაზღვრის და გადაწყვეტის უნარი, გადაწყვეტილების შესრულების კოორდინირების და შესრულებაზე კონტროლის უნარი | | |
| სწავლის უნარი | უმცროსი საჯარო თანამდებობის პირთათვის - კვალიფიკაციის ამაღლებაზე და მუშაობის მეთოდების ათვისების უნარი | | |
| | უფროსი საჯარო თანამდებობის პირთათვის - პროფესიული ცოდნის დონის გაღრმავების უნარი | | |
| | წამყვანი საჯარო თანამდებობის პირთათვის - სისტემური გადაწყვეტის მეთოდების ათვისებისა და მართვის უნარი | | |

10

9 ◄

| | | | |
|---|---|---|---|
| ორგანიზების უნარი | უმცროსი საჯარო თანამდებობის პირთათვის - სამუშაოს რაციონალურად ორგანიზების უნარი | | |
| | უფროსი საჯარო თანამდებობის პირთათვის - სამუშაოს რაციონალურად ორგანიზების და დაგეგმვის უნარი | | |
| | წამყვანი საჯარო თანამდებობის პირთათვის - თანამშრომელთა მუშაობის დაგეგმვის,მოტივირების, კოორდინირებისა და კონტროლის უნარი სამუშაოს რაციონალურად ორგანიზების უნარი | | |
| კომუნიკაციის უნარი | უმცროსი საჯარო თანამდებობის პირთათვის - მოქალაქეებთან ურთიერთობის უნარი | | |
| | უფროსი საჯარო თანამდებობის პირთათვის - თანამშრომლებთან ერთობლივად მუშაობის უნარი | | |
| | წამყვანი საჯარო თანამდებობის პირთათვის - სხვა თანამდებობის პირებთან ურთიერთობის,კონფლიქტური სიტუაციის რეგულირებისა და განმუხტვის უნარი | | |
| პასუხისმგებლობა საქმისადმი | უმცროსი და უფროსი საჯარო თანამდებობის პირთათვის - შემსრულებლობა, დისციპლინირება, პუნქტუალობა, პასუხისმგებლობა | | |
| | წამყვანი საჯარო თანამდებობის პირთათვის - მიღებულ გადაწყვეტილებებზე პასუხისმგებლობის აღების უნარი | | |
| პრობლემების გადაჭრის უნარი | უმცროსი და უფროსი საჯარო თანამდებობის პირთათვის - შეუძლია პრობლემის გადაჭრა დამოუკიდებლად | | |
| | წამყვანი საჯარო თანამდებობის პირთათვის - პრობლემების ეფექტური, არასტანდარტული გადაწყვეტის უნარი | | |
| | **სულ** | | |

**4. მოხელის სამსახურებრივი საქმიანობისას აქტივობები:**

შეფასება ხდება ხუთქულიანი სისტემით:

1 ქულა – დაბალი (მინიმალურ დონეზეც კი ვერ აკმაყოფილებს შეფასების კრიტერიუმს)

2 ქულა – საშუალოზე დაბალი (მინიმალურად აკმაყოფილებს შეფასების კრიტერიუმს)

3 ქულა – საშუალო (დამაკმაყოფილებელი დონით პასუხობს შეფასების კრიტერიუმს)

4 ქულა – საშუალოზე მაღალი (საშუალოზე მაღალი დონით პასუხობს შეფასების კრიტერიუმს)

5 ქულა – მაღალი (მაღალი დონით პასუხობს შეფასების კრიტერიუმს)

| | კრიტერიუმი | ქულა |
|---|---|---|
| 1 | მონაწილეობა სამსახურის (განყოფილების) წინაშე არსებული საკითხების გადაწყვეტაში (იმ საკითხების ჩამონათვალი და შეფასება,რომელთა გადაწყვეტაში მოხელე მონაწილეობდა სამსახურის (განყოფილების) სხვა თანამშრომლებთან ერთად) | |
| | 1. | |
| | 2. | |
| | 3. | |
| | 4. | |
| 2 | სამუშაო აღწერილობიდან გამომდინარე სამუშაოს შესრულება (იმ სამუშაოთა ჩამონათვალი და შეფასება,რომელიც შესრულებული იქნა უშუალოდ მოხელის მიერ) | |
| | 1. | |
| | 2. | |
| | 3. | |
| | 4. | |

**5. მოვალეობათა ჩამონათვალი, რომელსაც განსაკუთრებით კარგად ართმევს თავს:**

1. ——————————————————
2. ——————————————————
3. ——————————————————
4. ——————————————————

**6. მოვალეობათა ჩამონათვალი რომლის შესრულებაც განსაკუთრებით უჭირს:**

1. ——————————————————
2. ——————————————————
3. ——————————————————
4. ——————————————————

**7. წახალისების რა ფორმები იქნა გამოყენებული მოხელის მიმართ ?** (მადლობის გამოცხადება, ერთდროული ფულადი ჯილდო, ფასიანი საჩუქრით დაჯილდოება, თანამდებობრივი სარგოს თანრიგის ამაღლება და ა.შ.)

——————————————————

——————————————————

**8. რა სამუშაოს შესრულებისთვის მოხდა მოხელის წახალისება?**

——————————————————

——————————————————

**9. რა დისციპლინური პასუხისმგებლობის სახეები იქნა გამოყენებული მოხელის მიმართ** (შენიშვნა, გაფრთხილება, არა უმეტეს ათი სამუშაო დღის ხელფასის დაკავება და ა. შ.)**?**

——————————————————

——————————————————

——————————————————

**10. რა დარღვევისთვის გატარდა პასუხისმგებლობის ზომები?**

——————————————————

——————————————————

**11. მოხელის დაკავებულ თანამდებობასთან შესაბამისობა** (ივსება მხოლოდ უშუალო ხელმძღვანელის მიერ):

***მოინიშნება შესაბამისი გრაფა:***

| | |
|---|---|
| არ შეესაბამება დაკავებულ თანამდებობას | |
| ნაწილობრივ შეესაბამება დაკავებულ თანამდებობას | |
| შეესაბამება დაკავებულ თანამდებობას | |
| ექვემდებარება დაწინაურებას | |
| შეესაბამება სხვა თანამდებობაზე გადაყვანას | |

*კომენტარი:*

——————————————————

——————————————————

**12. რეკომენდაციები კვალიფიკაციის, პროფესიული ცოდნისა და ზოგადი უნარების ასამაღლებლად** (ივსება მხოლოდ უშუალო ხელმძღვანელის მიერ):

1.——————————————————
2. ——————————————————
3. ——————————————————
4. ——————————————————

————————— —————

(ხელმძღვანელის თანამდებობა) (ხელმოწერა და თარიღი)

სამსახურებრივ დახასიათებას გავეცანი:

—————————

(ხელმოწერა და თარიღი)

**დანართი №3**

**ხობის მუნიციპალიტეტის ადგილობრივი თვითმმართველობის მოხელის**

**საატესტაციო ფურცელი** №

1. მოხელის სახელი და გვარი

——————————————————

2. დაბადების წელი, თვე, რიცხვი ——————————————————

3. ატესტაციის დროისთვის დაკავებული თანამდებობა და ამ თანამდებობაზე დანიშვნის თარიღი

——————————————————

4. თანამდებობრივი რანგი და საკლასო ჩინი ——————————————————

5. მონაცემები განათლების შესახებ:

5.1. საბაზო, პროფესიული, უმაღლესი სასწავლო დაწესებულების დასახელება ——————————————————

სპეციალობა ——————————————————

კვალიფიკაცია

——————————————————

5.2. გადამზადება სასწავლო დაწესებულების დასახელება ——————————————————

სპეციალობა

——————————————————

კვალიფიკაცია

——————————————————

5.3. კვალიფიკაციის ამაღლება

სასწავლო დაწესებულების დასახელება ——————————————————

კვალიფიკაცია

——————————————————

6. სამეცნიერო ხარისხი, სამეცნიერო წოდება ——————————————————

7. შრომის საერთო სტაჟი

——————————————————

7.1. საჯარო სამსახურში მუშაობის სტაჟი ——————————————————

7.2. საატესტაციო პერიოდისთვის დაკავებულ თანამდებობაზე მუშაობის სტაჟი

——————————————————

8. წახალისება

——————————————————

9. დისციპლინარული გადაცდომა და პასუხისმგებლობის ზომა

——————————————————

10. მოხელის მიერ წინა ატესტაციით მიცემული რეკომენდაციების შესრულების მოკლე შეფასება (სრულად შესრულებულია; შესრულებულია ნაწილობრივ; არ შესრულებულა)

——————————————————

——————————————————

11. მოხელის სამსახურეობრივი საქმიანობის შეფასება (შეესაბამება დაკავებულ თანამდებობას; შეესაბამება დაკავებულ თანამდებობას საატესტაციო კომისიის რეკომენდაციების გათვალისწინებით; არ შეესაბამება დაკავებულ თანამდებობას და ა.შ)

——————————————————

——————————————————

——————————————————

12. საატესტაციო კომისიის რეკომენდაციები ——————————————————

——————————————————

საატესტაციო კომისიის თავმჯდომარე: ——————————————————

საატესტაციო კომისიის თავმჯდომარის მოადგილე:

——————————————————

——————————————————

საატესტაციო კომისიის წევრები: ——————————————————

——————————————————

——————————————————

ატესტაციის ჩატარების თარიღი: __________

საატესტაციო ფურცელს გავეცანი:__________

——————————————————

(მოხელის სახელი, გვარი, ხელმოწერა და თარიღი)“

# ხობის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილება №17

## 2015 წლის 30 აპრილი, ქ.ხობი

**„ხობის მუნიციპალიტეტის გამგეობასა და ხობის მუნიციპალიტეტის საკრებულოს აპარატში საჯარო თანამდებობათა დასაკავებლად დამატებითი საკვალიფიკაციო მოთხოვნების დამტკიცების შესახებ“ ხობის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2014 წლის 21 ნოემბრის №39 დადგენილებაში**

**ცვლილების შეტანის თაობაზე**

„ნორმატიული აქტების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-20 მუხლის შესაბამისად, ხობის მუნიციპალიტეტის საკრებულო ადგენს:

**მუხლი 1.**

„ხობის მუნიციპალიტეტის გამგეობასა და ხობის მუნიციპალიტეტის საკრებულოს აპარატში საჯარო თანამდებობათა დასაკავებლად დამატებითი საკვალიფიკაციო მოთხოვნების დამტკიცების შესახებ" ხობის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2014 წლის 21 ნოემბრის №39 დადგენილებაში (www.matsne.gov.ge), 27/11/2014,წ. სარეგისტრაციო კოდი: 010250020.35.106.016138) შეტანილ იქნეს ცვლილება და დადგენილებით დამტკიცებული მე-2 დანართის მე-2 თავს დაემატოს მე-$7^1$ მუხლი და ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

**„მუხლი $7^1$. მოთხოვნები ხობის მუნიციპალიტეტის საკრებულოს აპარატის უფროსის საჯარო თანამდებობათა დასაკავებლად**

ხობის მუნიციპალიტეტის საკრებულოს აპარატის უფროსის თანამდებობის დასაკავებლად, ფუნქციური მოვალეობებიდან გამომდინარე, გარდა ამ საკვალიფიკაციო მოთხოვნების პირველი და მე-2 მუხლებით შესაბამისი თანამდებობისთვის გათვალისწინებული მოთხოვნებისა:

ა) პირს, რომელიც იკავებს საკრებულოს აპარატის უფროსის თანამდებობას, დამატებით მოეთხოვება:

ა.ა) კომუნიკაბელობა;

ა.ბ) შეხვედრებისა და მოლაპარაკებების წარმოების უნარი;

ა.გ) შემდეგი სამართლებრივი აქტების ცოდნა:

ა.გ.ა) საქართველოს ორგანული კანონი „საქართველოს შრომის კოდექსი“;

ა.გ.ბ) საქართველოს კანონი „საჯარო ინფორმაციის ასლის გადაღების მოსაკრებლის შესახებ“;

ა.გ.გ) „საქმისწარმოების ერთიანი წესების დამტკიცებისა და ამოქმედების შესახებ“ საქართველოს პრეზიდენტის 1999 წლის 1 ივლისის №414 ბრძანებულება“.

**მუხლი 2.**

დადგენილება ამოქმედდეს გამოქვეყნებისთანავე.

**ელიშერ ჯობავა,**

**საკრებულოს თავმჯდომარე.**

# დავიცვათ მომავალი თაობა...



*24 აპრილიდან 30 აპრილის ჩათვლით საქართველოში იმუნიზაციის კვირეული ჩატარდა. ევროპა იმუნიზაციის კვირეულს დიდი ხანია რაც აწარმოებს. საქართველო ამ კვირეულს 2007 წლიდან შეუერთდა. ა.(ა)ი.პ- ი ხობის მუნიციპალიტეტის საზოგადოებრივი ჯანდაცვის ცენტრს და ჯანდაცვის პირველადი რგოლების მიერ მოსახლეობის თავშეყრის ადგილებში (სკოლებსა და სკოლამდელ დაწესებულებებში) ლექცია-საუბრები ჩატარდა თემაზე, „აცერი და დაიცავი“.*

*თუ რატომ უნდა ჩაუტარდეს აცრები მოზარდებს, რა გართულებები შეიძლება გამოიწვიოს აუცრელობამ, რისგან გვიცავს იმუნიზაცია, ამ და სხვა თემებზე სასაუბროდ ა.(ა)ი.პ-ი ხობის მუნიციპალიტეტის საზოგადოებრივი ჯანდაცვის ცენტრის ხელმძღვანელს, ქალბატონ* **შორენა საბახტარაშვილს** *ვესაუბრეთ.*

***ქალბატონო შორენა, დაავადებათა კონტროლისა და საზოგადოებრივი ჯანმრთელობის ეროვნული ცენტრის ეგიდით ტარდება იმუნიზაციის კვირეული. თუ შიძლება უფრო ვრცლად გვიამბეთ ამ კვირეულის შესახებ?***

–საქართველო მსოფლიო იმუნიზაციის კვირეულს 2007 წლიდან შეუერთდა,ასე, რომ ყოველ წელს 24-30 აპრილის ჩათვლით ჩვენს მუნიციპალიტეტშიც ტარდება კვირეული. იმუნიზაცია ყოველწლიურად მილიონობით ბავშვს იცავს სიკვდილისა და ჯანმრთელობის მდგომარეობის მძიმე დარღვევებისგან. ინფექციებთან ბრძოლაში პირველი წარმატებები



მიღწეულიქნა უფრო ადრე, ვიდრე დაავადებათა გამომწვევი მიზეზები იქნებოდა აღმოჩენილი. მხედველობაში მაქვს ცნობილი ინგლისელი ექიმის, ედუარდ ჯენერის, 1796 წელს შექმნილი ყვავილის საწინააღმდეგო ვაქცინა და დიდი ფრანგი მეცნიერის, ლუი პასტერის მიერ 1885 წელს შექმნილი ცოფის საწინააღმდეგო ვაქცინა. ამჟამად ინფექციურ დაავადებებთან საბრძოლველად ხელთ გვაქვს ერთადერთი ძირითადი საშუალება– ვაქცინაცია, რომელიც სხვა მეთოდებს შორის უძველესი და სანდოა. იგი, როგორც მეცნიერება, უკვე ცნობილია 200 წელი და აქამდე ერთგულად ემსახურება კაცობრიობას. ვაქცინის წყალობით დამარცხებულია ყვავილი, თითქმის განადგურებულია პოლიომიელიტი, მკვეთრადაა შემცირებული წითელათი, ცოფით და წითურათი ავადობა.

***იცავს თუ არა ვაქცინაცია მოზარდებს სახიფათო დაავადებებისგან?***

–ვაქცინები საზოგადოებრივი ჯანმრთელობის ერთ-ერთი უდიდესი მიღწევაა და ერთ-ერთი ყველაზე მნიშვნელოვანი რამ, რისი გაკეთებაც შეგიძლიათ თქვენი შვილების დასაცავად. ჯანმრთელობის მსოფლიო ორგანიზაციის მონაცემებით, ყოველწლიურად 14 წლამდე ასაკის 12 მილიონამდე ბავშვი იღუპება: დაახლოებით 9 მლნ ბავშვი იღუპება ინფექციური დაავადებებისგან, მათ შორის 3 მილონამდე ბავშვი, იმ ინფექციებისგან, რომელთა პროფილაქტიკისთვის არსებობს ვაქცინა.

***რომელი დაავადებების საწინააღმდეგოდ ტარდება აცრები?***

–სახელმწიფო უზრუნველყოფს 12 ინფექციის იმუნოპროფილაქტიკას 9 ვაქცინის საშუალებით. აცრები იწყება ბავშვის დაბადებიდან. პირველად კეთდება ბ.ც ზდა ბე-ფეპატიტზე, შემდეგ 2, 3, 4 5 6 თვემდე ასაკში(დიფტერია, ყივანახველა, ტეტანუსი, ფიბ, ბ ჰეპბ)და ფემოფილუმ ინფლუანტე რომელიც იწვევს ბაქტერიოლოგიურ პლევმონიას და არის ძალიან საშიში მოზარდისთვის. ამის დასაცავად პერონალურად მიეცემა პოლიომიელიტის ვაქცინა. ეს ვაქცინაცია 2, 3 და 4 თვის ასაკში ტარდება სამჯერადად, შემდეგ 18 თვის ასაკში რევაქცინაცია ტარდება ეს არის დიფტერია, ტეტანუსი, წ.წ.ყ. ორი (წიტელა, წითურა, ყბაყურა) 2 დოზა და პოლიომიელიტის ვაქცინა 4 დოზა. 5 წლის ბავშვი, რომელსაც ჩატარებული აქვს ეს ასაკობრივი ვაქცინა, დაცულია ამ საშიში დაავადებებისაგან, რომლებიც ზემოთ ჩამოვთვალე. 14 წლის ასაკში ტარდება ტიბი ვაქცინა, სადაც ტეტანუსის ელექტრული დოზა ბევრად მეტია, ვიდრე დიფტერიის.

დროულად ჩატარებული აცრები მართვადი დაავადებების პროფილაქტიკის საუკეთესო საშუალებაა. პროფილაქტიკური აცრები ხელს უწყობს ბავშვს იმუნიტეტის (თავდაცვის უნარის) ჩამოყალიბებას კონკრეტული დაავადებების მიმართ. მშობელმა უნდა იცოდეს, რატომ, როდის, სად და რამდენჯერ უნდა აიცრას ბავშვი.

***რამდენად უსაფრთხოა ვაქცინაცია?***

–თანამედროვე ვაქცინა უსაფრთხოა, თუმცა ყველას აქვს იმუნიზაციის შემდეგ არასასურველი მოვლენების განვითარების იშვიათი რისკი. იმუნიზაციის შემდეგ განვითარებული არასასურველი გამოვლენები უმნიშვნელოა დაავადებისა და მისგან გამომდინარე ჯანმრთელობის მდგომარეობის გაუარესებასთან.

არიან ბავშვები, რომელთა აცრის ჩატარება რისკ-ფაქტორია. ამ ჯგუფს განეკუთვნებიან დაბალი იმუნიტეტის მქონე ბავშვები. ცენტრალური ნერვული სისტემით დაავადებულები. არ შეიძლება აიცრან ის ბავშვები, რომელთაც ვაქცინაში შემავალი კომპონენტების მიერ მგრძნობელობა აქვთ. აქვე მინდა აღვნიშნო, თუ ქვეყანაში 95% მოცვის მიღწევა იქნება, ნებისმიერი დაავადების 5% კოლექტიური იმუნიტეტის ხარჯზეა და ქვეყანაში, სადაც არის სტაბილური იმუნური ფორმა, იმ 5% არაფერი ემუქრება.

***თქვენი სამსახური ასევე ატარებს სკრინინგულ, უფასო ლაბორატორიულ გამოკვლევებს პარაზიტული ჭიით დაავადებებზე. ამის შესახებ რას გვეტყოდით?***

–დიახ, ჩვენს სამსახურში ფუნქციონირებს პარაზიტოლოგიური ლაბორატორია. გვყავს ექიმი პარაზიტოლოგი ნაზი ხუფენია და ლაბორანტი ნაზი იოსავა, რომელიც არის გადამზადებული დაავადებათა კონტროლის ეროვნულ ცენტრში. პარაზიტოლოგიის კაბინეტს აქვს საკმაოდ კარგი მიკროსკოპი 1700 ლარად ღირებული, რომელიც გადმოგვეცა დაავადებათა ეროვნული ცენტრიდან. ჩვენი სამსახური აწარმოებს სკრინინგულ კვლევას სკოლამდელი ასაკის ბავშვებში, უფასოდ ვუტარებთ გამოკვლევებს ჭიის კვერცხებზე. ასევე ვატარებთ პროფილაქტიკურ საუბრებს, თუ როგორ უნდა დაიცვან თავი ჰელმინტებისაგან, ანუ ჭიისაგან. ჭიას ძალიან ბევრი გართულებები მოყვება.

***ხომ ვერ დაგვიკონკრეტებთ, რა გართულებები მოყვება ჭიით დასნებოვნებას?***

–პარაზიტი ჭიები ცხოვრობენ ადამიანის ორგანიზმში და იწვევენ სხვადასხვა ორგანოს დაზიანებას. დაავადების ხარისხი დამოკიდებულია ჭიების სახეობაზე, მათ ლოკალიზაციასა და რაოდენობაზე. ხშირად დაავადებას თან ახლავს წონის დაკლება ან მომატება, სიმსივნური დაავადებები, გულის, წნევის, საერთო სისუსტე, თავბრუსხვევა, გაღიზიანებადობა, შეკრულობა ან აშლილობა, გულისრევა, ღებინება, სიყვითლე, შეშუპება, ხველა, ცხვირიდან გამონადენი, ნერწყვდენა, შრომის უნარიანობისა და მეხსიერების დაქვეითება, ზრდის შეჩერება, სქესობრივი განვითარების სისუსტე და ა.შ. ჭიებით დაავადების მიზეზია ჭუჭყიანი ხელები, გაურეცხავი ხილი და ბოსტნეული, მოუხარშავი პროდუქტები, წყალი, ბუზები, ჰიგიენის დაუცველობა და სხვა.

ადამიანის ორგანიზმში ჰელმინტები როგორც წესი პირიდან ხვდებიან, თუმცა არის უამრავი შემთხვევა, როდესაც ხვდებიან ჰაერიდანაც, ვინაიდან მათი კვერცხი არის ჰაეროვანი და მსუბუქი. ორგანიზმში მოხვერდის შემდეგ კი კვერცხიდან ჭია იჩეკება, იწყებს კვებას, იზრდება და ზოგიერთი იქვე მრავლდება კიდეც. ყველაზე ხშირად ჰელმინტები ნაწლავებში სახლდებიან. ისინი ძირითადად ჩვენი შეჭმული და დამუშავებული საჭმლით იკვებებიან. თუმცა, არსებობს უფრო მძიმე შემთხვევები, როცა „ჭია“ კუნთოვან ან სხვა ქსოვილებში გადადის და ამ ქსოვილებით იკვებება.

ასევე ჭიები ხვდებიან სისხლში, რომელიც ხშირ შემთხვევაში გამოიხატება ფეხის ან სხეულის რომელიმე ნაწილზე ცხიმის დაგროვებით შემდეგნაირად, ადგილი სივდება (მაგ: ფეხი, ფეხის



თითები ემგვანება სოსისებს და ა.შ.) და თითის დაჭერისას, თითის ანაბეჭდი რჩება ჩაწეული.

ასევე თვალის ლინზები იწვევენ თვალის ჭიებით დაავადებას, რადგანაც თვალის ამობანვისას წყლიდან გადადის ჭია და ბინას თვალში იდებს, ხოლო ადამიანი კი შეიძლება მიიყვანოს სავალალო შედეგამდე, თვალის სამუდამო დაკარგვამდე.

ნაწლავებში მცხოვრები ჭიები ადამიანს ასუსტებს, მის იმუნურ სისტემას თრგუნავს, იწვევს ტკივილს ნაწლავებში და ქავილს ანალურ ხვრელში. ჩარევის გარეშე ადამიანის ორგანიზმი ჭიებისგან ვერ (არ!) თავისუფლდება–ადამიანის იმუნური სისტემა მათ ვერ ერევა და ხშირად თავად არის მათი მსხვერპლის–პარაზიტები მასში ისეთ ცვლილებელს იწვევენ, რომელიც მათ ხელახალ შემოჭრას და ჩასახლებას კიდევ უფრო აიოლებს. ამიტომ დაავადების ერთხელ გადატანის შემდეგ ხელახალი დაავადების რისკი იზრდება.

ჰელმინტების მოსაშორებლად ძალიან ეფექტური წამლები არსებობს, ვინაიდან ჭიების ორგანიზმში ხელახალი შემოჭრა ბევრად იოლია, ვიდრე პირველი, დაავადების განმეორების თავიდან ასაცილებლად საჭიროა მუდმივი პროფილაქტიკა. პირველ რიგში ეს არის ჰიგიენა (განსაკუთრებით ხელების ხშირი ბანა), მცენარეული პროდუუქტების კარგად რეცხვა და ცხოველური პროდუქტების კარგი თერმული დამუშავება.

თუმცა აგრეთვე არსებობს მოსაზრება იმის შესახებ, რომ ადამიანის თითქმის ყველა დაავადების მიზეზი ჭიებია, მათ შორის ონკოლოგიურიც. ამ თეორიის მიხედვით ყველა ავადმყოფობის მკურნალობა ჭიების მოშორებით უნდა დაიწყოს. სერიოზული ავადმყოფობების დროს ჭიებთან ხანგრძლივი და სერიოზული ბრძოლაა საჭირო, ვინაიდან ავადმყოფობის სიმძიმე იმის მიმანიშნებელია, რომ ჭიებმა ძალიან კარგად ჩაიბუდა ორგანიზამში და მისი დათრგუნვაც დაიწყო. ამიტომ აუცილებელია ჭიების მოსაშორებელი ინტენსიური კურსების ჩატარება.

***ხომ არ გსურთ რამეს დამატება...***

–წლების განმავლობაში საშინელ პირობებში გვიწევდა მუშაობა. ჩვენმა მუნიციპალიტეტის ხელმძღვანელობამ გამოიჩინა კეთილი ნება, გადმოგვიყვანეს სხვა შენობაში, გაკეთდა საკმაოდ კარგი რემონტი, შესაბამისად მუშაობაც გვიწევს საკმაოდ კარგ პირობებში რის გამოც მადლობის მეტი რა მეთქმის...

***გმადლობთ ქალბატონო შორენა საინტერესო საუბრისათვის, წარმატებებს გისურვებთ.***

*ესაუბრა* **ნინო ბერგაია**

---

## ხსოვნა

## ანრი გჯერენაია



რა არის უბედურება? ვერავინ გამოუძებნის განმარტებას. ეს ხომ უზომო ტკივილი, ცრემლი, დარდი და გლოვაა... იმ შემზარავი ტრაგედიიდან დღემდე ყველა ფიქრობს: რატომ მოხდა ეს უბედურება? რისთვის ამისთანა მსხვერპლი. ამ კითხვებზე პასუხის ძებნასა და უსაშველო ტკივილში მიილია ორმოცი დღე... და კვლავ ცრემლების და ყვავილების ზღვამ დაფარა გზა სახლიდან სასაფლაომდე. დიდ მამულიშვილს უთქვამს: „ალბათ, სიცოცხლე სიკვდილისთვის მოსაცდელი ჟამიაო“. ვაი, რომ ეს მოსაცდელი ჟამი, ჩემო ლამაზო და ჭკვიანო ბიჭო, შენთვის თერთმეტი წელი აღმოჩნდა.

უდიდესი ტკივილი და სევდა დაგვიტოვე ირგვლივ მყოფთ. ეს ტკივილი და სევდა, რაც დრო გადის, უფრო და უფრო მძაფრდება. „დრო ყველაფრის მკურნალიაო“–ამბობენ, მაგრამ ჟამთა სვლისას უფრო და უფრო გვეუფლება მონატრების სურვილი, უსაშველო მონატრებად დარჩი შენი ტანჯული მშობლებისთვის, საყვარელი დებისთვის, ყველა ახლობლისთვის.

ძალიან გვაკლიხარ და გვენატრები. შენ ხომ გამორჩეული ბიჭი იყავი. ყველა შენს სურათს ვეფერებით. ეულად დარჩენილ შენს მერხს და სურათს თანაკლასელები ყოველდღე ყვავილებით ამკობენ. გარინდულები შენს სურათს ჩასცქერიან, თითქოს გეძახიან, თითქოს რაღაცას გეკითხებიან, დრო ვერაფერს დააკლებს შენს ხსოვნას. შენი სხარტი აზროვნება და გონიერება ყველასთვის მისაბაძი იყო. შენ ეტალონი იყავი იმისა, თუ როგორი უნდა იყოს დადებითი თვისებებით შემკული თანამედროვე მოსწავლე. მარადისობაში გადასულს ყოველდღე გიგონებთ, მაგრამ უცრემლოდ ვერა და ვერა. ძალიან ძნელი წარმოსადგენია სექტემბრის სკოლის ზარი უშენოდ. აღმზრდელებს და თანატოლებს დიდხანს გვემახსოვრება შენი ხალისიანი სახე და ჭკვიანური გამოხედვა.

ჩვენ ისევ მოვალთ შენს სამუდამო სასუფეველთან, მოგიტანთ ყვავილებს, ცრემლიანი თვალებით აგინთებთ წმინდა სანთლებს, რომლებიც ვარსკვლავად იკაშკაშებენ და გაგინათებენ გზას სამოთხისკენ. უფალს შევთხოვთ ნათელში ამყოფოს შენი ლამაზი სული.

მშვიდად იძინე უფალთან.

*საშა არჩაია*

---

## ანგელოზად მოვლენილო

*(ანრი ჯგერენაიას)*

ანგელოზად მოვლენილო,
ზეცად ლოცვად აღვლენილო,
დრო უღმერთოდ გაფრენილო,
სისხლო ჩემო, ზღვად შთენილო!
რით გავუძლო ამდენ დელგმას,
ბევრს არ ნიშნავს სული გედგას,
შენ ხომ მფარველ ანგელოზად
აქ იქნები მუდამ ჩვენთან.
ჩვენ აღვსდგებით შენზე ლოცვად,
გზა გინათოთ მაღალ ღმერთთან,
აგორდება ცრემლზე ცრემლი,
როგორც წმინდა ნაკადული,
დრო იკივლებს სისხლისმსმელი,
დრო უღმერთოდ გარდასული.
ისევ ძველებურად ჟღერს,
შენი სკოლის ზარები.
ალბათ, სწავლის ყოველ დღეს
შენც აქ დაიარები...
ეს აპრილი ჯვარგაკრული
კვლავ მოვა და აგვაკვნესებს,
ის იები გულსდაყრილი,
ისევ მწარედ დაიკვნესებს.

*ბადრი ლომაია.*

## ლამაზი დღე თორსის საბავშვო ბაღში



ხობის მუნიციპალიტეტის ტერიტორიულ ერთეულ თორსა-ღლვაბის საბავშვო ბაღს, სადაც 25-მდე აღსაზრდელი სწავლობს, გამგებლის წარმომადგენლის ედემი ლატარიასა და ბაღის მთავარი სპეციალისტის იათამზე შარიას ინიციატივით, შპს საქართველოს ეთერზეთების გენერალური დირექტორი **სებასტიან პუტიომკინი** და კომპანიის აღმასრულებელი დირექტორი **მამუკა მგალობლიშვილი** ეწვივნენ. (2011 წლიდან კომპანიას თორსის ტერიტორიულ ერთეულში 65 ჰა. მიწის ფართობი აქვს მფლობელობაში) სტუმრებმა აღსაზრდელებს საჩუქრად ტკბილეულობა და საყოფაცხოვრებო ნივთები მოუტანეს და სამზარეულო ოთახის გარემონტებაში დახმარებას დაპირდნენ. ბავშვებსა და სტუმრებს შორის თბილი ატმოსფერო შეიქმნა, პატარებმა მათ მადლობა ლექსებითა და სიმღერების შესრულებით გადაუხადეს.

**მაგდა კიკალეიშვილი.**

## აუქციონი

### დანართი №1

**ხობის მუნიციპალიტეტის გამგეობა აცხადებს განმეორებით აუქციონს**

| № | ქონების დასახელება | სარეგისტრაციო ნომერი | გამოშვების წელი | ფერი | ტიპი | გასაყიდი ფასი | „ბე“ 10% | „ბიჯი" 10% | ბილეთის ფასი | შემოსულობების სახაზინო კოდი |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 1 | ა/მანქანა „ფორდ მონდეო1,8" | NAA 876 | 1994 | ლურჯი | ჰეტჩბეკი | 762 | 76,20 | 76,20 | 20 | 300403332 |
| 2 | რენო-მეგანი | MCM-514 | 1997 | ლურჯი 7/8 | | 1024 | 102.40 | 102.40 | 20 | 300403332 |

### დანართი № 2

| № | დასახელება | მდებარეობა | რაოდენობა | ერთეულის გასაყიდი ფასი | „ბე“ 10% | „ბიჯი“ 10% | მონაწილის ბილეთის ფასი | შემოსულობების სახაზინო კოდი ბანკში |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 1 | წისქვილი | ქარიატა | 1 | 44 | 4,40 | 4,40 | 20 | 300403344 |
| 2 | წისქვილი | ქ. ხობი ბარათაშვილის ქუჩა | 1 | 18,4 | 1,84 | 1,84 | 20 | 300403344 |
| 3 | წყლის მრიცხველი | ახალსოფელი | 4 | 12,95 | 1,30 | 1,30 | 20 | 300403344 |
| 4 | წყლის მრიცხველი | საგვიჩიო | 3 | 3,15 | 0,32 | 0,32 | 20 | 300403344 |

### ფართის სარგებლობის უფლებით გადაცემაზე

| № | შენობის დასახელება | მისამართი | სართული | გასაიჯარებელი ფართი კვ.მ | ერთი კვ.მ ფართის საბალანსო ღირებულება | გასხვისების ვადა, წელი | იჯარის ქირის განაკვეთი % | საიჯარო ქირა 1 კვ.მ წელიწადში | „ბე" 10 % | ბიჯი 10 % | ბილეთის ფასი |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 1 | ადმინისტრაციული შენობა | ც. დადიანის ქუჩა №188 | პირველი სართული | 16 | 68,24 | 5 | 20 | 13,65 | 21,8 | 21,8 | 20 |

განცხადების მიღების ადგილია ქ. ხობი ც. დადიანის ქუჩა №189, ხობის მუნიციპალიტეტის გამგეობა, ეკონომიკისა და ინფრასტრუქტურის განვითარების სამსახური.

განცხადების მიღების ვადაა გაზეთში ინფორმაციის გამოქვეყნებიდან აუქციონის ჩატარების დღემდე 10-00 საათიდან 18-00 საათამდე (შაბათ-კვირის გარდა), ხოლო აუქციონის ჩატარების დღეს 10-00 საათიდან 14-00 საათამდე.

აუქციონის ჩატარების თარიღია 2015 წლის 25 მაისი 15-00 სთ.

საბანკო რეკვიზიტები: ერთიანი ანგარიში არასაგადასახადო–707017021, მიმღები ბანკი–სახელმწიფო ხაზინა, ბანკის კოდი–TRESGE22

აუქციონის ფორმით ქონების პრივატიზებისას გამყიდველის და მყიდველის და მყიდველის მიერ ხელმოწერილ აუქციონში გამარჯვების დამადასტურებელი ოქმი არის წერილობითი ხელშეკრულება, გამარჯვებული პირის მიერ აუქციონში გამარჯვებისას დამადასტურებელ ოქმზე ხელის მოწერაზე უარის თქმა ართმევს მას გამარჯვებულის სტატუსს.

აუქციონში გამარჯვებული ვალდებულია აუქციონის ჩატარებიდან საქართველოს კანონით განსაზღვრულ ვადაში გამგეობასთან გააფორმოს ხელშეკრულება აგრეთვე აუქციონის შედეგების ოქმის დამტკიცების მომენტიდან 30 დღის განმავლობაში დაფაროს მის მიერ აუქციონზე დასახელებული საბოლოო თანხა, წინაამდღეგ შემთხვევაში მყიდველს არ მიეცემა საკუთრების უფლება და „ბე“-ს შენატანი არ დაუბრუნდება, აუქციონის შედეგები გაუქმდება.

აუქციონში მონაწილეობის მისაღებად რეგისტრატორს უნდა წარედგინოს შემდეგი დოკუმენტები:

ა) დამტკიცებული ფორმის მიხედვით შევსებული განაცხადი (მიიღებთ გამგეობაში);

ბ)„ბე“-ს და მონაწილის ბილეთის ფასის შენატანის დამადასტურებელი საბანკო ქვითარი;

გ) პირადობის მოწმობის ასლი:

დ) იურიდული პირები დამატებით წარმოადგენენ ნოტარიალურად დამოწმებულ სადამფუძნებლო დოკუმენტის ასლს;

ე) ნოტარიალურად დამოწმებული მინდობილობა, თუ მყიდველი მოქმედებს სხვა პირის სახელით.

საუქციონო კომისიის ზონარგაყრილ დავთარში განაცხადის რეგისტრაციის მომენტიდან განმცხადებელი იძენს აუქციონში მონაწილის სტატუსს. აუქციონში გამარჯვებულის გამოვლენის კრიტერიუმია საწყის გასაყიდ ფასზე ბიჯის დანამატის შედეგად მაქსიმალური ფასის გადახდა.

ქონების შესახებ დამატებითი ინფორმაციის მიღება შესაძლებელია ხობის მუნიციპალიტეტის გამგეობის ეკონომიკისა და ინფრასტრუქტურის განვითარების სამსახურში.

**ხობის მუნიციპალიტეტის გამგეობა**

## საინტერესო „ღია კარის დღე“

1მაისს, ხობის მუნიციპალიტეტის N2 ბაგა-ბაღის მასწავლებლებმა ღია კარის დღე მოაწყვეს. ყველა დაინტერესებულ პირს უფლება ეძლეოდა ამ ერთი დღის განმავლობაში თვალყური ედევნებინა მასწავლებელთა მუშაობაზე. ხობის N2 საბავშვო ბაღი მუშაობს „სასწავლო სააღმზრდელო პროგრამით საბავშვო ბაღებისათვის“. პროგრამაში მეთოდოლოგიურად გამოყენებულია თემატური სწავლება. ახალ სასწავლო პროგრამაში შესული თითოეული თემა მოიცავს ბაღებში განსახილველი აქტივობების მთელ პაკეტს და ხელს უწყობს ბავშვის სოციალური და ემოციური კომპეტენტურობის ზრდას. ასაკობრივი ჯგუფების მასწავლებლებმა სწორედ ახალი პროგრამით გათვალისწინებული მეცადინეობები წარმოადგინეს.



2-3 წლიან ჯგუფში თავისუფალი თემა „ დავემალოთ წვიმას“, აღმზრდელი ქეთინო აბშილავა, შეეცადა პატარებთან ერთად წარმოედგინა პატარა თეატრალიზებული ნომერი, თუ როგორ, რა საგნების საშუალებით შეიძლება წვიმისგან თავის დაცვა. პატარები წარმოდგენაში აქტიურად იყვნენ ჩართულები.

3-4 წლიან ჯგუფში თემა იყო ფორმები ჩვენს გარშემო, ქვეთემა წრე, აღმზრდელმა ნატო ცხადაიამ, ბავშვებთან ერთად განიხილა გეომეტრიული ფიგურები. ის შეეცადა ამ ფიგურების გაცნობით აღმოეჩინა მსგავსება გეომეტრიული ფიგურებს და მის გარშემო მყოფ ობიექტებს შორის. მთავარია მოზარდმა შეძლოს ამ ასაკში დაინახოს მსგავსება გარე სამყაროსთან და მათთვის ნაცნობ გეომეტრიულ ფიგურებს შორის.

4-5 წლიანთა ჯგუფში აღმზრდელებმა ნონა შონიამ და თეონა ჩარგაზიამ, ბავშვებთან ერთად განიხილეს თემა. ჰიგიენა და ბაქტერიები. ბავშვები აღმზრდელების მიერ დასმულ შეკითხვებს აქტიურად პასუხობდნენ, მათ კარგად იცოდნენ რა ზიანი შეიძლება გამოიწვიოს ბაქტერიებმა, დამსწრეთა წინაშე გულმოდგინედ აბანავეს თოჯინა, რამაც ბავშვებში ერთგვარი ხალისიც კი გამოიწვია.

ბაღში 5-6 წლიანი ასაკობრივი ჯგუფი ორია. პროგრამის შესაბამისად ამ ჯგუფებში აღმზრდელები ბავშვებთან ერთად სასკოლოდ ემზადებიან. სწავლობენ ანბანს, რიცხვებს, აქვთ შემეცნებითი და საინტერესო გაკვეთილები ამა თუ იმ თემებზე, რომელიც აუცილებელი და საინტერესოა ამ ასაკის ბავშვებისთვის.

აღმზრდელმა ნანა ქაშიბაძემ ბავშვებთან ერთად განიხილა ასო ბგერა „ც“. მათ ჩამოთვალეს ყველა ის ასო-ბგერა, რაც ჰქონდათ გავლილი, გაიმეორეს ხმოვნები, ნასწავლი ანდაზები და აფორიზმები. თამამად შეიძლება ითქვას, რომ წინასასკოლო მზადება ამ ბავშვებმა თვალსაჩინოდ გაიარეს. სტუმრებიც აღაფრთოვანეს, რის გამოც აღმზრდელმა მათგან დადებითი შეფასება მიიღო.

რაც შეეხება, მეორე 5-6 წლიან თა ჯგუფს აღმზრდელმა ლალი დევნოზაშვილმა განიხილა თემა– დინოზავრები... ბავშვები შეეცადნენ ესაუბრათ დინოზავრებზე, გამოიყენეს ლიტერატურა, გაერთნენ სახვითი ხელოვნებით.

ჯგუფებში მეცადინეობის დამთავრების შემდეგ, აღმზრდელებმა და იქ დამსწრე საზოგადოებამ თავი მოიყარა დარბაზში. მოწვეულ სტუმართა შორის იყვნენ, როგორც მშობლები, ასევე მუნიციპალიტეტში არსებული ბაგა-ბაღების აღმზრდელები და ხელმძღვანელები, რომლებიც თვალყურს ადევნებდნენ მეცადინეობებს. მათ დადებითად შეაფასეს ბაღის და თითოეული აღმზრდელის მუშაობა, მოეწონათ ასევე ბავშვების აქტიურობა. რაც შეეხება მშობლებს, მათ ასე თუ ისე, იცოდნენ თუ რა მეცადინეობები უტარდებოდათ მათ შვილებს, მაგრამ „ღია კარის“ დღემ მოლოდინს გადააჭარბა. მშობელთა სახელით მინდა მადლობა გადავუხადო ქალბატონ ნარგიზა ტუღუშს, ის ძალ-ღონეს არ იშურებს მომავალი თაობის სრულფასოვნად აღზრდისთვის. მადლობის მეტი რა გვეთქმის თითოეული აღმზრდელის თუ თანაშემწის მიმართ იმ დიდი შრომისათვის, რასაც ისინი ყოველდღე, მიუხედავად მცირე ანაზღაურებისა, სიყვარულით, დიდი მონდომებითა და სიხარულით აკეთებენ ჩვენი ბავშვებისათვის.



*მოამზადა* **ნინო გერგაიამ**

დამფუძნებელი: ხობის მუნიციპალიტეტის საკრებულო.

გამომცემელი შპს „ხობის მოამბე“

სარედაქციო კოლეგია:
თავმჯდომარე შ.პ.ს. „ხობის მოამბეს“ დირექტორი–მერი ლაგვილავა,
თავმჯდომარის მოადგილე, დირექტორის მოადგილე–ნანი კილასონია.
რედაქტორი–მანანა შულაია.
ჟურნალისტები–ნინო გერგაია, ნაირა ბერაია.
კომპიუტერული უზრუნველყოფა–ჯულიეტა ლატარია.

გაზეთი აეწყო და დაკაბადონდა შპს „ხობის მოამბეში.“
მის: ხობი, წმინდა ნინოს ქუჩა №1 ტელ: 0 (414) 22-21-13; 22-25-81; 599-50-40-57. ელ. ფოსტა: xobismoambe@mail.ru
დაიბეჭდა შ.პ.ს. გამომცემლობა „კოლორში“. თბილისი, რკინიგზის ჩიხი №20.

გაზეთი ხელმძღვანელობს თავისუფალი პრესის პრინციპებით. გაზეთში დაბეჭდილ მასალის სიზუსტეზე პასუხისმგებელია ავტორი.